პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 282 (15799)

4 დეკემბერი სამშაბათი 1973

ფასი 2 კაპ.

## მესამე, გადამწყვეტი წელი — ვადაზე!

დაიწყო 1973 წლის უკანასკნელი თვე. ვიმუშაოთ დაძაბულად, ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ პირნათლად შევასრულოთ როგორც გეგმები, ისე ნაკისრი ვალდებულებანი და შევქმნათ საიმედო წანამძღვრები 1974 წლის დაძაბული გეგმისა და შემხვედრი გეგმა-ვალდებულების შესრულებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

# ინდოეთში ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტის შედეგების შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ განიხილეს ინდოეთის რესპუბლიკაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ოფიციალური მეგობრული ვიზიტის შედეგები, სავსებით მოიწონეს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოღვაწეობა საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მეგობრული ურთიერთობის განვითარებისათვის, სკკპ XXIV ყრილობის მიერ მიღებული მშვიდობის პროგრამის განხორციელებისათვის. ვიზიტმა, რომელმაც საბჭოთა კავშირისადმი ინდოელი ხალხის მეგობრობის მასობრივი დემონსტრაციის ვითარებაში ჩაიარა, უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანა საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ურთიერთობა, რომელიც ემყარება სსრ კავშირისა და ინდოეთის მშვიდობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების მტკიცე საფუძველს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ღრმა კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს ინდოეთში ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტის დროს ხელმოწერილ დოკუმენტებს, რომლებიც ახალ იმპულსს აძლევენ ორი ქვეყნის მჭიდრო მეგობრული ურთიერთობის განვითარებას მათი ხალხების საკეთილდღეოდ. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ერთობლივ დეკლარაციას. ამ დოკუმენტის მნიშვნელობა ის არის, რომ იგი ავითარებს სსრ კავშირისა და ინდოეთის ურთიერთობის ძირითად პრინციპებს და განსაზღვრავს ორი ქვეყნის თანამშრომლობის მთავარ მიმართულებას. დეკლარაციას დიდი მოწონებით შეხვდნენ საბჭოთა კავშირშიც და ინდოეთშიც, ვინაიდან იგი შეესაბამება ორი ქვეყნის ხალხთა ძირეულ ინტერესებს, წარმოადგენს აზიისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების დიდმნიშვნელოვან ფაქტორს.

დიდი მნიშვნელობა აქვს ვიზიტის დროს ხელმოწერილ შეთანხმებას სსრ კავშირისა და ინდოეთის ეკონომიური და სავაჭრო თანამშრომლობის შემდგომი განვითარების შესახებ, რომელიც განსაზღვრავს ურთიერთხელსაყრელი ნაყოფიერი ეკონომიური თანამშრომლობის მიმართულებას ხანგრძლივი პერიოდით. თანასწორობისა და ურთიერთსარგებლიანობის პრინციპზე დაფუძნებული ნაყოფიერი სავაჭრო-ეკონომიური თანამშრომლობა დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია, როგორც საბჭოთა კავშირის ეკონომიკისათვის, ისე ეროვნული აღორძინებისა და სოციალურ გარდაქმნათა გაფართოების გზით მიმავალი ინდოეთის ეკონომიური დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მაღალ შეფასებას აძლევენ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევსა და ი. განდის შორის საერთაშორისო საკითხებზე გამართული მოლაპარაკების შედეგებს. ამ მოლაპარაკების დროს დადასტურდა, რომ ერთმანეთს ემთხვევა მხარეების შეხედულებანი თანამედროვეობის ფართო წრის აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებზე. საბჭოთა კავშირმა და ინდოეთმა დაადასტურეს, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი კვლავაც ილვწოდნენ დაძაბულობის შენელებისათვის, რადგან მიაჩნიათ, რომ საერთაშორისო კლიმატის გაჯანსაღებას შეუძლია მისცეს და კიდევაც უნდა მისცეს რეალური პრაქტიკული ნაყოფი მსოფლიოს ყველა ქვეყანას — დიდ თუ პატარა, განვითარებულ თუ განვითარებად ქვეყანას. საბჭოთა კავშირმა და ინდოეთმა მხარი დაუჭირეს გამალებული შეიარაღების შეწყვეტას, საყოველთაო და სრული განიარაღების მიღწევას, განიარაღების მსოფლიო კონფერენციის მომზადებას, აგრეთვე კოლონიალიზმისა და რასიზმის ნაშთების უსწრაფეს და სრულ ლიკვიდაციას.

მოლაპარაკების დროს მხარეებმა ახალი ძალით გამოხატეს მტკიცე რწმენა, რომ სამხრეთ აზიაში არსებული სადავო პრობლემები შეიძლება გადაიჭრას და კიდევაც უნდა გადაიჭრას დაინტერესებული ქვეყნების მოლაპარაკების გზით გარედან ჩაურევლად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო კმაყოფილებით აღნიშნავენ დადებითს შედეგებს, რომლებიც მოიტანა დელში აზიის პრობლემებისადმი მიძღვნილი მოლაპარაკების დროს გამართულმა აზრთა ფართო გაზიარებამ. საბჭოთა კავშირი, რომლის ტერიტორიის ორი მესამედი აზიაშია, და აზიის დიდი სახელმწიფო — ინდოეთი ღრმად არიან დაინტერესებულნი იმით, რომ ამ რაიონში შეინარჩუნონ მშვიდობა და სტაბილურობა, რასაც საფუძვლად დაედება აზიის სახელმწიფოთა ერთობლივი მეცადინეობა.

ინდოეთში ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტის შედეგები მთლიანად და სავსებით შეესაბამება სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის მიერ წამოყენებულ ამოცანას — ვილვწოდეთ იმისათვის, რომ საერთაშორისო ვითარებაში მიღწეული კეთილნაყოფიერი ცვლილებანი შეუქცევადი გახდეს.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტსა და მის შედეგებს ერთსულოვნად იწონებენ საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის ხალხები, რომლებსაც იგი საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ურღვევი მეგობრობის მკაფიო დემონსტრაციად მიაჩნიათ. ეს ვიზიტი საერთაშორისო საზოგადოებრიობის, მრავალი ქვეყნის პოლიტიკური და სახელმწიფო წრეების ყურადღების ცენტრშია, მან გამოიწვია ფართო დადებითი გამოხმაურება, მოწონება და მხარდაჭერა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო დიდად აფასებენ ინდოეთში ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტის შედეგებს და კვლავ ადასტურებენ, რომ საბჭოთა კავშირი ივლის სკკპ XXIV ყრილობის მიერ მიღებული მშვიდობის პროგრამით დასახული გზით. საბჭოთა კავშირი კვლავაც დაეყრდნობა ძმურ მეგობრობასა და თანამშრომლობას სოციალისტურ ქვეყნებთან, განავითარებს ურთიერთობას ყველა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოსთან.

## ხუთწლედის გმირები

ხუთი დღის ნორმა — ოთხ დღეში! ეს ინიციატივა თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის მრთველმა მზია არათანაშვილმა წამოიწყო. საწარმოში ფართოდ გაიშალა მოძრაობა მანქანების გაფართოებული ზონის მომსახურებისათვის. 126 მრთველი 8-ის ნაცვლად 5 მანქანას ემსახურება და ყოველდღიურ დავალებას დიდი გადაჭარბებით ასრულებს. ნოვატორ მრთველს პირველნი გამოეხმაურნენ ეკატერინე დოროშენკო და დარეჯან ქისტაური.

სურათზე: მოწინავე მრთველები კომკავშირელი ე. დოროშენკო (მარცხნივ) და კომუნისტი დ. ქისტაური, რომლებიც დიდიხანია 1974 წლის ანგარიშში მუშაობენ.

ვ. მორგუნოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).



# შენთვის, სამშობლოვ!

● ვალდებულება გაანაღდეს ● დროს უსწრებენ ● მოწინავეთა მწყობრში ● დაწინაურდნენ ფერომდნობელები ● წლიური გეგმა შესრულებულია.

თბილისი. ცამეტი ნოემბრიდან დეკემბრის ანგარიშში მუშაობს ფეხსაცმლის ფაბრიკა „ნარიყალას" (დირექტორი ა. რობაქიძე) კოლექტივი. მეფეხსაცმლეებმა მკვეთრად გააუმჯობესეს პროდუქციის ხარისხი, რამაც საშუალება მისცა პროდუქციის რეალიზაციის დავალება 12 ნოემბრისათვის შეესრულებინათ.

მეფეხსაცმლეებმა ვალდებულება იკისრეს, რომ ხუთწლედის მესამე წლის დაზოგილი მასალით 12 ათასი წყვილი ფეხსაცმელი გამოეშვათ. ეს დაპირება კოლექტივმა ნოემბრის პირველი ნახევრისათვის გადაჭარბებით გაანაღდა. აქ ასევე პირნათლად შეასრულეს შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალება, ეს მაჩვენებელი ნაცვლად ვალდებულებით გათვალისწინებული 3 პროცენტისა 7 პროცენტით გაზარდეს. თვითღირებულების შემცირებით, მასალების მომჭირნეობით დიდძალი ეკონომია მიიღეს, მარტო გასულ ათ თვეში ზედმეტმა მოგებამ 55 ათასი მანეთი შეადგინა.

ფაბრიკაში პირველობას კვლავ ინარჩუნებს № 2 შემკვრელი საამქრო, რომელსაც უნარიანად ხელმძღვანელობს ნ. მაჩიტაძე. შრომის მისაბაძ მაგალითებს იძლევიან და მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქციას უშვებენ გ. ტაბიძე, შ. ყაველაშვილი და ქ. ბულიატოვი.

ორი დღით უსწრებს დროს დედაქალაქის მეტროპოლიტენის კოლექტივი და პირნათლად ასრულებს ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებას. თერთმეტ თვეში ტრანსპორტელებს უნდა გადაეყვანათ 92 მილიონი მგზავრი, ამ მაჩვენებელს მათ ვადაზე ადრე მიაღწიეს და გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 5 პროცენტით გაადიდეს მგზავრთა გადაყვანა.

ალსანიშნავია, რომ ტრანსპორტელები პირნათლად ასრულებენ როგორც მგზავრთა კულტურული მომსახურების, ისე მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ნაკისრ ვალდებულებებს.

სოციალისტურ შეჯიბრებაში, რომელიც წლიური დავალების ვადამდე შესრულებისათვის არის გაშლილი, დაწინაურდნენ ელდეპოს, სალიანდაგო და საექსპლოატაციო დისტანციების კოლექტივები, რომლებსაც გ. ქლიბაძე, ქ. ბექალიშვილი და შ. დუნდუა ხელმძღვანელობენ. („კომუნისტის" კორ.).

ცხიმკომბინატი მოწინავე საწარმოთა მწყობრში დგას. კომბინატის კოლექტივმა პროდუქციის რეალიზაციის 11 თვის გეგმა ვადამდე 100,5 პროცენტით შეასრულა. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 333 ათასი მანეთის პროდუქცია.

კოლექტივმა გადახედა თავის შესაძლებლობებს და გადაწყვიტა შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით წლიური გეგმა 15 დეკემბრისათვის შეასრულოს და გეგმის გადამეტებით 900 ტონა მარგარინი და ერთი მილიონი მანეთის საერთო პროდუქცია გამოუშვას.

ეს რედაქციას აცნობა ცხიმკომბინატის დირექტორმა შ. ქუტიძემ.

ზესტაფონი. (საკ. კორ.). გ. ნ. ნიკოლაძის სახელობის ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივი, რომელიც ზაპოროჟიელ და ალავერდელ მეტალურგებს ეჯიბრება, ახალ-ახალ შრომით წარმატებებს აღწევს. ზესტაფონელმა ფერომდნობელებმა 23 ნოემბრისათვის შეასრულეს ლითონის გამოდნობის თერთმეტი თვის გეგმა, სამშობლოს მისცეს ათასობით ტონა ზეგეგმითი ძვირფასი ლითონი. დაზოგეს 11 მილიონი კილოვატ-საათი ელექტროენერგია, დიდძალი ნედლეული.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ ქარხნის პირველი და მეოთხე სადნობი საამქროების კოლექტივები, რომლებსაც ინჟინრები ნ. ჯაფარიძე და ს. ლეკვეიშვილი უძღვებიან.

ტყიბული. (საკ. კორ.). „საქკომუნრემმშენის" ტრესტის ტყიბულის სარემონტო-სამშენებლო უბნის (უფროსი დ. კუპატაძე) კოლექტივმა ახალი გამარჯვება მოიპოვა, სამშობლოს წლიური გეგმის შესრულება 7 ნოემბრისათვის უპატაკა. უბანმა უკვე აითვისა სარემონტო-სამშენებლო სამუშაოებზე განკუთვნილი 250 ათასი მანეთი და ახლა მომავალი წლის ანგარიშში მუშაობს. ალსანიშნავია ისიც, რომ განვლილ თერთმეტ თვეში მნიშვნელოვნად გაიზარდა თვითეული მუშის შრომის ნაყოფიერება.

სამშენებლო კოლექტივის გადაწყვეტილებაა მიმდინარე წლის ბოლომდე დარჩენილ პერიოდში დამატებით შეასრულოს 30 ათასი მანეთის სამშენებლო სამუშაო.

## გაზაფხულს — ჯანსაღი ტექნიკა

### საგარეჯოელ მექანიზატორთა თაოსნობა ფრთებს შლის

„საქსოფლტექნიკის" გარდაბნის რაიონული განყოფილების მექანიზატორებმა ერთსულოვნად მოიწონეს საგარეჯოს მექანიზატორების პატრიოტული თაოსნობა 1974 წლის საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოებისათვის ტექნიკის ვადამდე და სანიმუშოდ მომზადებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ.

საგარეჯოელთა მაგალითისამებრ გარდაბნელებმა გადაწყვიტეს მომავალი წლის 25 თებერვლამდე მთლიანად დაამთავრონ ტრაქტორების, გუთნების, კულტივატორების, სათესი მანქანების, სათიბების რემონტი, ხოლო 24 აპრილამდე მარცვლეულის ასაღები და სილოსის ასაღები კომბაინების რემონტი.

მექანიზატორთა შრომის ნაყოფიერება და ტექნიკის გამოყენების კოეფიციენტი გაზარდონ 5 პროცენტით, საგრძნობლად შეამცირონ ტრაქტორებისა და კომბაინების კაპიტალური შეკეთების ხარჯები.

სართიჭალის, რუსთავის, ჯანდარის, მარტყოფის, სამგორის, დიღმის, ულიანოვკის და სხვა საბჭოთა მეურნეობების მექანიზატორები სწრაფი ტემპით რემონტს უკეთებენ სოფლის მეურნეობის ტექნიკას. მათი გადაწყვეტილებაა გაზაფხულს მოუმზადონ ჯანსაღი ტექნიკა, 20 მარტისათვის დაამთავრონ რემონტი.

მცხეთის რაიონის მექანიზატორებმა ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება იმისათვის, რომ ყოველმხრივ მომზადებული შეხვდნენ საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოებს.

„საქსოფლტექნიკის" რაიონული განყოფილების მექანიზატორებმა გადაწყვიტეს საგარეჯოს რაიონის მექანიზატორთა მიმართვის პასუხად ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება და ვადაზე ერთი თვით ადრე შეაკეთონ ტრაქტორები, კომბაინები, ნიადაგის დასამუშავებელი და სათესი იარაღები, ტრაქტორების რემონტი დაამთავრონ 20 თებერვლამდე, ხოლო 15 აპრილამდე კომბაინების რემონტი.

„საქსოფლტექნიკის" რაიონული განყოფილების მიერ შეკეთებულ ყველა მანქანაზე გაიცემა საგარანტიო ტალონები. გაძლიერდება ზრუნვა მექანიზატორთა შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. ფართოდ გამოიყენებენ მორალურ და მატერიალურ სტიმულირებას.

[illegible]

## დელეგაცია მოსკოვიდან გაემგზავრა

3 დეკემბერს მოსკოვიდან ვარშავაში გაემგზავრა სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარე, სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარე დოქტორი ნგუენ ჰიუ თხო. დელეგაცია ოფიციალური მეგობრული ვიზიტით ეწვევა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკას.

სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ვნუკოვოს აეროდრომზე ნგუენ ჰიუ თხო გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა კ. თ. კატუშევმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ნ. ხ. არუთინიანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა მ. პ. გიორგაძემ, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნ. პ. ფირიუბინმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელმა მუშაკებმა.

გამცილებელთა შორის იყვნენ აგრეთვე სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ნგუენ ვან თხანი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ვო თხუკ დონგი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ზ. ნოვაკი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში დ. რაპაი. (საკდესი)

## თვითმფრინავიდან

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა გუსტავ ჰუსაკმა, როცა საბჭოთა კავშირს გადაუფრინა, ინდოეთში მიმავალმა, თვითმფრინავიდან დეპეშა გამოუგზავნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ნ. ვ. პოდგორნისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ა. ნ. კოსიგინს. დეპეშაში იგი მხურვალე ამხანაგურ სალამს უთვლის მოძმე საბჭოთა კავშირის ყველა ხალხს და გულწრფელად უსურვებს ახალ წარმატებებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის მიერ დასახული გრანდიოზული ამოცანების განხორციელებაში.

## ვიწონებთ!

### მარადიული მეგობრობა

როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, ჩვენც, რუსთაველი მეტალურგები, ერთსულოვნად მივესალმებით საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მოლაპარაკების წარმატებით დამთავრებას და იმედს გამოვთქვამთ, რომ ხელმოწერილი დოკუმენტები ხელს შეუწყობენ საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის ხალხებს შორის მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას.

ჩვენ გვახარებს, რომ საბჭოთა კავშირის ქარხნებში დამზადებული მოწყობილობები წარმატებით მუშაობენ ინდოეთის მეტალურგიულ ქარხნებში. რუსთაველი მეტალურგები კვლავაც ენერგიის დაუზოგავად ვიშრომებთ, რათა გამოვუშვათ მეტი მეტალურგიული ნაწარმი, რომელიც ხმარდება ჩვენი ქვეყნის შემდგომი ძლიერების საქმეს.

დაე მტკიცდებოდეს და ფართოვდებოდეს საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის ხალხების მარადიული მეგობრობა.

**მ. სპანდერაშვილი,**
მეფოლადე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

### ჩვენი მადლობა

ჯაფარიძელთა ფერმების მუშაკები გულდასმით გავეცანით ლ. ი. ბრეჟნევის ინდოეთში ყოფნის ამსახველ მასალებს, რომლებიც აღგვაფრთოვანებს და ძალას გვმატებს საზოგადოებრივ შრომაში.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ შრომას მშვიდობა უნდა. ჩვენი კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა კი მშვიდობის დაცვის დიდი მომხრეები არიან. მადლობა პარტიას, ჩვენს მთავრობას ხალხზე, მშობლიური ზრუნვისათვის. ჩვენ კი პირობას ვდებთ, რომ კვლავაც თავს ვისახელებთ სახალხო შრომაში.

**ზაირა ალხანიშვილი,**
წითელწყაროს რაიონის ჯაფარიძის კოლმეურნეობის მწველავი, სოციალისტური შრომის გმირი.

### დიდმნიშვნელოვანი მოვლენა

ამ დღეებში მოწმენი ვიყავით დიდმნიშვნელოვანი მოვლენისა — თუ როგორი საყოველთაო პატივისცემითა და სიყვარულით ხვდებოდა ინდოელი ხალხი საპატიო სტუმარს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევს. ყველასათვის ცნობილია, თუ რა დიად მიზნებს ემსახურება ასეთი მაღალი დონის შეხვედრები, როგორიც ორი დიადი ქვეყნის მეთაურებს შორის გაიმართა ინდოეთის მიწაზე. მშვიდობა ხელოვნების წინსვლის, ადამიანთა ბედნიერების საწინდარია. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ძალზე დიდია ლ. ი. ბრეჟნევის ღვაწლი მშვიდობის განმტკიცების საქმეში. ვფიქრობ, კიდევ უფრო განიმუხტება საერთაშორისო დაძაბულობა, მშვიდობის ძალები კიდევ უფრო შემჭიდროვდებიან.

საქართველოში ოდითგანვე იცნობდნენ ინდურ კულტურას და პატივს სცემდნენ მის დიდ ტრადიციებს. სასიამოვნო ფაქტია, რომ სულ ახლახან ჩვენმა სახელოვანმა პოეტმა ირაკლი აბაშიძემ და შესანიშნავმა კომპოზიტორმა შალვა მშველიძემ დაიმსახურეს ჯავაჰარლალ ნერუს სახელობის პრემიები.

მომავალში ჩვენც, მხატვრებიც, შევიტანთ თავისებურ წვლილს ამ ორი დიდი ქვეყნის მეგობრობის განმტკიცების საქმეში.

**უჩა ჯაფარიძე,**
საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარი.

## საბჭოთა მთავრობის მოწვევით

საბჭოთა მთავრობის მოწვევით 2 დეკემბერს მოსკოვში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა და თანამეგობრობის საქმეთა მინისტრი სერ ალეკ დუგლას-ჰიუმი.

დიდი ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ვნუკოვოს აეროდრომზე ა. დუგლას-ჰიუმსა და მის თანმხლებ პირებს შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ს. პ. კოზირევი, საბჭოთა კავშირის ელჩი დიდ ბრიტანეთში ნ. მ. ლუნკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი ვ. პ. სუსლოვი და სხვები.

შემხვედრთა შორის იყო დიდი ბრიტანეთის ელჩი საბჭოთა კავშირში სერ ტერენს გარვი.

უპასუხა რა საბჭოთა ჟურნალისტების კითხვებზე, ალეკ დუგლას-ჰიუმმა თქვა, რომ მოსკოვში ჩამოვიდა, რათა შეხვდეს ბატონ გრომიკოს და განიხილოს საბჭოთა კავშირ-ინგლისის ურთიერთობა. ვფიქრობ, თქვა შემდეგ მინისტრმა, ჩვენ მივაღწევთ პროგრესს. მე მსურს, რომ გაუმჯობესებული და ახლო ურთიერთობა დავამყაროთ. რაც შემეხება მე, ყველაფერს ვიღონებ ამისათვის. ჩვენ განვიხილავთ აგრეთვე საერთაშორისო პრობლემებს. ეს განსაკუთრებით საჭიროა იმიტომ, რომ ამჟამად დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო თათბირები მიმდინარეობს ჟენევასა და ვენაში. განვიხილავთ აგრეთვე ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობასა და საბჭოთა კავშირისა და დიდი ბრიტანეთის ორმხრივ პრობლემებს, კერძოდ, ვაჭრობის გაფართოების პრობლემას.

უპასუხა რა კითხვაზე სრულიად ევროპის თათბირის მეორე ეტაპის მიმდინარეობის შესახებ, მინისტრმა განაცხადა: საჭიროა ანალიზი და მისწრაფება, რომ გამოვნახოთ, თუ რაში ვეთანხმებით ერთმანეთს და რაში შეიძლება მივაღწიოთ პროგრესს. ასეთია ჩვენი სურვილი. რა თქმა უნდა, ამას დრო სჭირდება, მაგრამ იმედი მაქვს, რომ კარგ შედეგებს მივაღწევთ.

დასასრულ მინისტრმა გამოთქვა იმედი, რომ მისი ვიზიტი მოსკოვში გააუმჯობესებს და განამტკიცებს ინგლისის ურთიერთობას საბჭოთა კავშირთან. (საკდესი).

## ა. ა. გრომიკოს მოლაპარაკება ა. დუგლას-ჰიუმთან

3 დეკემბერს გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოსა და დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა და თანამეგობრობის საქმეთა მინისტრის სერ ალეკ დუგლას-ჰიუმის მოლაპარაკება, რომელიც საბჭოთა მთავრობის მოწვევით ოფიციალური ვიზიტით იმყოფება მოსკოვში.

ურთიერთგაგებისა და გულახდილობის ვითარებაში განიხილეს მთელი რიგი აქტუალური საერთაშორისო პრობლემები, აგრეთვე საკითხები, რომლებიც საბჭოთა კავშირ-ინგლისის ორმხრივ ურთიერთობას ეხება.

* * *

სერ ალეკ დუგლას-ჰიუმმა გვირგვინით შეამკო უცნობი ჯარისკაცის საფლავი კრემლის კედელთან.

* * *

იმავე დღეს ა. ა. გრომიკომ საუზმე გამართა ა. დუგლას-ჰიუმის საპატივცემულოდ. საუზმემ მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

## კრიტიკა და ლიტერატურის პრობლემები

ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკა და თანამედროვე საბჭოთა ლიტერატურის აქტუალური პრობლემები — ამ თემას ეძღვნება ლექტორთა სრულიად საკავშირო სემინარი, რომელმაც 3 დეკემბერს მუშაობა დაიწყო თბილისში. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის დიდ დარბაზში შეიკრიბნენ სემინარის მონაწილეები — მოსკოვის, ლენინგრადის, ყველა მოკავშირე რესპუბლიკის კრიტიკოსები და ლიტერატურათმცოდნეები. სემინარის ორგანიზატორები არიან სსრ კავშირის მწერალთა კავშირი, სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნა", საქართველოს მწერალთა კავშირი და საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნა".

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სახელით სრულიად საკავშირო სემინარის მონაწილეებს მიესალმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. სირაძე.

სემინარზე დაიწყო დიდი საუბარი ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის როლის, მისი მებრძოლურობისა და პრინციპულობის ამაღლების შესახებ. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის შესახებ", რომელშიც განვითარებულია სკკპ ისტორიული XXIV ყრილობის საპროგრამო დებულებანი, ჩვენი მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურის საბრძოლო დოკუმენტი გახდა. ლიტერატურულმა კრიტიკამ ხელი უნდა შეუწყოს საბჭოთა ლიტერატურის ახალ აღმავლობას, სოციალისტური რეალიზმის პრინციპების განვითარებას. ამ დიდმნიშვნელოვან საკითხებს მიეძღვნა ორატორთა გამოსვლები.

სემინარის მუშაობას ხელმძღვანელობდა სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნის" თავმჯდომარის მოადგილე ვ. მასლინი.

პირველ დღეს სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს მოხსენებანი: სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტის სექტორის გამგის პროფესორ გ. ლომიძისა — „სოციალისტური რეალიზმის თეორიის აქტუალური პრობლემები და ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკა", ჟურნალ „ლიტერატურნოე ობოზრენიეს" მთავარი რედაქტორის ი. სუოვცევისა — „კრიტიკის მეთოდოლოგიური პრობლემები და თანამედროვე ლიტერატურული პროცესი", მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დეკანის პროფესორ ი. ზასურსკისა — „კრიტიკის როლი ბურჟუაზიული „მასობრივი" კულტურის მხილებაში", საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივნის ბ. ჟღენტისა — „კრიტიკის როლი საბჭოთა ხელოვნების საუკეთესო ნაწარმოებების პროპაგანდაში". (საქინფორმი).

## ანგარიშგება-არჩევნები პარტიულ ორგანიზაციებში

# შეგნებული ავტორიტეტი

### თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის პარტიულ კონფერენციაზე

ყოველი თბილისელი — სახარატო დაზგასთან შრომობს იგი თუ ახალშენებათა ხარაჩოებზე, მეცნიერის ლაბორატორიაში თუ მხატვრის სახელოსნოში, ნორჩი მოქალაქეც კი, რომელიც დღეს მხოლოდ სასწავლო მერხს უზის, ყოველდღიურად უშუალოდ განიცდის თავისი დიდი ქალაქის მაჯისცემას, მის წინსვლას, თვალნათლივ გრძნობს მრავალ სიკეთეს, და მოდით გულახდილად ვთქვათ, არც თუ ისე იშვიათად შეხვდება ხოლმე გულსატკენსაც.

მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომი — ეს ჩვენს ქალაქში საბჭოთა ხელისუფლების ორგანოა, და ბუნებრივია, თუ რაოდენ საჭიროა თვითეული თანამშრომელი უდიდესი სიფრთხილით ზომავდეს გადადგმულ ყოველ ნაბიჯს, თვალისჩინივით უფრთხილდებოდეს აღმასკომის ავტორიტეტს.

რა თქმა უნდა, ჩვენში ჯერ კიდევ არიან ობივატელები, ისეთები, რომლებსაც არ სურთ გაითვალისწინონ მთელი რიგი სიძნელეები, არ უნდათ გაიგონ, თუ რატომ ეთქვა უარი ამა თუ იმ თხოვნაზე. ვეთანხმებით, დიახ, არიან ასეთები. მაგრამ, როცა უკმაყოფილება კი არ მცირდება, ზოგჯერ, პირიქით, იზრდება, როცა გამოსწორების ნაცვლად უარესდება კომუნალური, საყოფაცხოვრებო, სატრანსპორტო თუ სატელეფონო მომსახურება, როცა ასობით, ათასობით მშრომელი უშუალოდ განიცდის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თანამშრომლის მხრივ აღმაშფოთებელ გულგრილობასა და უპასუხისმგებლობას, საქმისადმი ბიუროკრატიულ მიდგომას, მაშინ, რა თქმა უნდა, საფუძველი გაქვს განაცხადოთ, რომ მათ აღმასკომის ავტორიტეტს სერიოზული ...

... ჯერ კიდევ ჩანდა მორიდებულობა და თავის მართლების ცდაც კი.

ამ კორესპონდენციაში სრულიადაც არ ვაპირებთ მკითხველს მოვუთხროთ, თუ ვინ, რომელმა გამომსვლელმა რა თქვა, როგორც ეს ხშირად საგაზეთო ანგარიშებში ხდება ხოლმე. მაგრამ, ვფიქრობთ, ზოგ გამოსვლას არ შეიძლება გვერდი აუაროს კაცმა და მას სათანადო შეფასება არ მისცეს.

მოგეხსენებათ, საბინაო პრობლემა ყველაზე მწვავე პრობლემაა თბილისში. ჯერ იყო და, მშენებლთა უხეირო მუშაობით, რასაც შემდგომი ორგანოების მხრივ უკონტროლობა და გულდამშვიდება ათამამებდა, უკანასკნელ წლებში ქალაქს ათასობით კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი დააკლდა. ამას დაემატა ის თვითნებობა და ხშირ შემთხვევაში უკანონობაც კი, რასაც როგორც საქალაქო საბჭოს, ისე რაისაბჭოს აღმასკომების ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკი იჩენდა.

ამას წინათ პრესაში გამოქვეყნდა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის დადგენილება, რომელშიც მოყვანილია კანონიერებისა და პარტიული მორალის ნორმების დარღვევის ფაქტები. კონფერენციის მონაწილენი ამ დადგენილების გამო რომ ლაპარაკობდნენ, დაგმეს სწორედ ისეთ ხელმძღვანელთა მოქმედება, რომლებმაც სრულიად დაივიწყეს თავიანთი პარტიული და მოქალაქეობრივი მოვალეობა, პირადი კეთილდღეობით გატაცებულებმა დაარღვიეს კანონი, ბოროტად გამოიყენეს თანამდებობა.

— ჩვენ ყველამ კარგად ვიცოდით, რომ ურუშაძეს, ჟაჟანაშვილს, ლითანიშვილს, კლებანსკის, ელიაშვილს და სხვებს, რომელთაც საპატიო პოსტები ეკავათ, საუკეთესო კეთილმოწყობილი ბინები ჰქონდათ, რომ მათ როგორც მოისურვებოდათ, ისე იცვლიდნენ ბინებსაც და არ იშურებდნენ სახელმწიფო თანხებს, რათა შეჯიბრება გამოეცხადებინათ — ვის დიდი ფართობის და ბრწყინვალე ზიზილ-პიპილებით ...

სწორედ ამის გამო თქვა ამ დღეებში გამართულ პარტიულ კონფერენციაზე საქალაქო საბჭოს აღმასკომის ახალმა თავმჯდომარემ ბ. ლობჟანიძემ, რომ ბევრ საკითხს, რომლებიც ტელეფონის უბრალო გადარეკვითაც კი შეიძლება მოგვარდეს, ცალკეულ სამმართველოთა მუშაკები აჭიანურებენ, უცდიან აღმასკომის სხდომებსა და თათბირებს, საქმე კი ხშირ შემთხვევაში მაინც არ კეთდება.

როგორც ყველა დიდსა და პატარა კოლექტივში, საქალაქო საბჭოს აღმასკომშიც საქმის ნამდვილი სული და გული კომუნისტები უნდა იყონ. მართლაც ცხრაასზე მეტი კომუნისტი, რომელთა 293 წარმომადგენელი, როგორც დელეგატი, მეთორმეტე პარტიულ კონფერენციაზე მოვიდა, სამმართ...

... დადგენილებასაც ვიღებთ, მაგრამ როგორც კი ეს ზამთარი მოვა, ისე გამოვიყურებით, როგორც ცუდი მოსწავლეები მკაცრი გამომცდელის წინაშე. ხშირად არ არის გათბობა, წყალი, განათება, ცუდად მუშაობს ტრანსპორტი. ყინვების დროს კი მოქალაქეთა ტრავმის შემთხვევებიც არის. გაიხსენოთ, თუ წლევანდელი ნოემბრის ერთი დღის თოვლმა რა საგონებელში ჩააგდო თვითეული ჩვენგანი.

დღემდე შესრულება არ უწერია ილიაძის ქუჩაზე ახალი საცხოვრებელი ეზოს კეთილმოწყობის შესახებ მიმდინარე წლის აპრილში და გლდანის საცხოვრებელი მასივის კეთილმოწყობის შესახებ 22 აგვისტოს მიღებულ საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებებს. და ეს იშვიათი როდია.

დღემდე ვერ ამაღლდა მომთხოვნელობა ცალკეული სამმართველოებისადმი, ადმინისტრაციის საქმიანობისადმი პარტიული კონტროლის კომისიები, სახალხო კონტროლის ჯგუფები და საგუშაგოებიც აქტიურად ვერ მო...

მოჩუქურთმებულ-მოვარაყებული სასახლის მსგავსი ბინა ექნებოდა.

ის ყველამ კარგად იცოდა და უფრო კარგად იცოდნენ საბინაო განყოფილების კომუნისტებმა ...

... ლზე ცოტაა, ჯერ კიდევ ბევრი მუშაობა, მთელი ძალებისა და ენერგიის მობილიზება სჭირდებათ აქაურ კომუნისტებს, რომ ახალ მოთხოვნათა დონეზე ავიდნენ.

საანგარიშო მოხსენებაც და მოკამათეთა გამოსვლების უმრავლესობაც კრიტიკული და თვითკრიტიკული იყო. როგორც თვით კონფერენციის მონაწილეებმა აღიარეს, ასეთი გულახდილი, პრინციპული მსჯელობა აქამდე არ გვახსოვსო. მაგრამ ამ ნათქვამს ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ბევრ პრობლემაზე, ბევრ საკითხზე ლაპარაკი უფრო კონკრეტულად, აშკარად, ერთი შეხედვით ...

... სახელმწიფო ქონება. რისთვისაც პარტიიდან გაირიცხნენ და სისხლის სამართლის პასუხისგებაში არიან მიცემულნი. კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს ყოფილი უფროსი ვ. ჯაფარიძე ქრთამის აღებისათვის დაპატიმრებულია და გაირიცხა პარტიის რიგებიდან.

ყოველივე ეს და კიდევ სხვა მსგავსი ფაქტები იმის შედეგია, რომ საქალაქო საბჭოს აღმასკომში წლების მანძილზე უგულებელყოფილი იყო კრიტიკა და თვითკრიტიკა. აქ შეიჩვივნენ ურთიერთ მაამებლობასა და ლიბერალიზმს, შესუსტებული იყო ...

... ლემ თ. თევზაძემ და სხვებმა.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი პ. გილაშვილი.

კონფერენციამ აირჩია პარტიული კომიტეტის ახალი შემადგენლობა და მიიღო დადგენილება მომავალი საანგარიშო პერიოდისათვის.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის პარტიული კომიტეტის მდივნად არჩეულია ნ. გოგიშვილი.

**ალ. ზურაშვილი.**

## პარტიული ქრონიკა

□

### თეორიული კონფერენცია ლაგოდეხში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ლექტორთა ჯგუფმა და პარტიის ლაგოდეხის რაიკომის ბიურომ მოაწყეს თეორიული კონფერენცია თემაზე: სკკპ XXIV ყრილობა სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი განვითარების შესახებ კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე.

მოხსენებები გააკეთეს: საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ლექტორმა, დოცენტმა თ. ოდილავაძემ, პარტიის რაიკომის მეორე მდივანმა ი. ტყემალაძემ, ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალის დირექტორმა, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატმა ა. კაპანაძემ, პარტიის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ი. ნოზაძემ, პარტიის რაიკომის პოლიტიკურმა მომხსენებელმა ფ. ხუციშვილმა.

კონფერენციამ მსმენელთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

**ე. გოგოსაშვილი,**
ლაგოდეხის რაიონული გაზეთის „გამარჯვების დროშის" რედაქტორის მოადგილე.

◆

### სამეცნიერო სესია ცხაკაიაში

**ცხაკაია.** (საკ. კორ.). პარტიის რაიონულმა კომიტეტმა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა აქ მოაწყეს სამეცნიერო სესია თემაზე: „ახალი ადამიანის აღზრდა კომუნიზმის მშენებლობის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა". მოხსენებები გააკეთეს უნივერსიტეტის მეცნიერებმა, პროფესორებმა ვ. კალანდარიშვილმა, ე. კოდუამ, დოცენტმა ლ. კანკავამ და პარტიის ცხაკაიას რაიკომის მდივანმა რ. ფაჩულიამ.

მომხსენებლებმა პასუხები გასცეს მსმენელთა შეკითხვებზე.

◆

### ეკონომიური განათლების საკითხებზე

**პარტიის** გორის საქალაქო კომიტეტმა ეკონომიური განათლების პროპაგანდისტებისათვის მოაწყო საქალაქო სამეცნიერო სესია თემაზე: „სკკპ XXIV ყრილობა სოციალისტური წარმოების ეკონომიური ეფექტიანობის ამაღლების შესახებ".

სესია შესავალი სიტყვით გახსნა პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ი. ხადურმა. მსმენელებმა მოისმინეს დოცენტების გ. ბასილაიას, ნ. თოფურიასა და ვ. პავლიაშვილის მოხსენებები თემებზე: „სამეცნიერო ტექნიკური რევოლუცია სსრ კავშირში და მისი შედეგები", „საქართველოს ხილ-ბოსტნეულის გადამმუშავებელი საწარმოების ეკონომიური ეფექტიანობის ამაღლების რეზერვები", „სოციალისტური წარმოების ეკონომიური ეფექტიანობა და მისი ამაღლების გზები".

**ნ. ხომასურიძე.**

---

წესრიგი—ყველგან და ყველაფერში!

# მართლწესრიგისათვის ყველა უნდა იბრძოლეს!

**საქართველოს** კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ მიმდინარე წლის აგვისტოში მიღებული დადგენილების — „რესპუბლიკის მშრომელთა სამართლებრივი აღზრდის ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებათა შესახებ" — ცხოვრებაში უკეთ განხორციელების მიზნით ქ. ქუთაისში მოეწყო საზოგადოებრივი წესრიგის შემდგომი განმტკიცებისა და სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდის დეკადა.

დეკადა გაიხსნა საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პოლიტიკური განათლების სახლში დევიზით — „მშრომელთა სამართლებრივი აღზრდა და მისი ამაღლება სადღეისო ამოცანაა".

აქტივის კრება, რომელზედაც მოწვეული იყვნენ საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელები, პარტიული კომიტეტებისა და ბიუროთა მდივნები, კომკავშირული და პროფკავშირული აქტივისტები, ამხანაგური სასამართლოების თავმჯდომარეები, წესრიგის დაცვის სახალხო რაზმეულთა წევრები, სკოლების, უმაღლესი სასწავლებლების ლექტორები და პედაგოგები, მშობელთა საბჭოებისა და კომიტეტების წევრები, შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანმა ამხ. **გ. ფხაკაძემ.**

კრებაზე მოსმენილ იქნა მოხსენებები: „სოციალისტური კანონიერების ლენინური პრინციპები" (მომხსენებელი ქალაქის პროკურორი **ა. ბარაბაძე**), „შინაგან საქმეთა ორგანოები მართლწესრიგის განმტკიცებისა და დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლაში" (მომხსენებელი შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსი **დ. კუხიანიძე**), „სახალხო სასამართლო დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში" (მომხსენებელი ქუთაისის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე **ა. იობიძე**).

მოხსენების შემდეგ უჩვენეს დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის თემებზე შექმნილი კინოფილმები.

მომდევნო დღეებში საბჭოთა კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების, სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდის საკითხებზე მოხსენებები და საუბრები ჩატარდა რიგ სამრეწველო საწარმოებსა და ორგანიზაციებში, მაგალითად, 16 ოქტომბერს ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანაში ჩატარდა ლექციების ციკლი თემაზე „კანონის ცოდნა — მასებს". დეკადის პერიოდში ლითოფონის ქარხანაში, აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების სათაო წარმოებაში, ხორცკომბინატში, გუმათჰესის დასახლებაში, ტყავფეხსაცმლის კომბინატში, ქიმიურ ქარხანაში, პურკომბინატში, ხორცკარაქთევზვაჭრობის ბაზაში, მაუდის და ტრიკოტაჟის ფაბრიკებში, სამთო და ავტოტექნიკუმებში ლექციები და მოხსენებები წაიკითხეს პროკურორის მოადგილემ **შ. ცქიფურიშვილმა**, პროკურორის თანაშემწემ **შ. გვიტაძემ**, პროკურატურის უფროსმა გამომძიებელმა **რ. ლალაძემ**, მოსამართლეებმა **ბ. სტურუამ, ბ. ცხელაშვილმა, გ. ჯაფარიძემ, ქ. ტუკვაძემ**, შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილეებმა **ნ. პერკინმა, ზ. მუავანაძემ**, შინაგან საქმეთა სამმართველოს სოციალისტური ქონების მტაცებლობისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი განყოფილების უფროსმა **ლ. ხულაბერიძემ**, შინაგან საქმეთა სამმართველოს გამომძიებელმა **ზ. კლდიაშვილმა** და სხვებმა.

დეკადის დღეებში ეწყობოდა აგრეთვე სემინარები, კითხვა-პასუხისა და თემატური საღამოები. ამ მხრივ საინტერესო სხდომა გაიმართა ელექტრომექანიკურ ქარხანაში, პედაგოგიურ ინსტიტუტში და სხვ.

მოეწყო აგრეთვე საქალაქო საბჭოს დეპუტატების შეკრება.

საინტერესოდ ჩატარდა სახალხო რაზმელთა და ამხანაგური სასამართლოების თავმჯდომარეთა საქალაქო თათბირ-სემინარები. უბნის მცხოვრებთა საერთო კრებები, მიძღვნილი საბჭოთა კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხებისადმი.

დეკადის მიმდინარეობის დღეებში ქალაქის თეატრებსა და კინოთეატრებში ნაჩვენები იქნა მხატვრული და დოკუმენტური ფილმები, სპექტაკლები, რომლებიც მიძღვნილია საბჭოთა კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის აქტუალური საკითხებისადმი.

სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების ქსელში ჩატარებული რეიდის დროს, რომელშიც მონაწილეობდნენ კომკავშირელები, გამომჟღავნდა ფასების დამახინჯების, ვაჭრობის წესების დარღვევის, საბჭოთა კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის მრავალი შემთხვევა.

21 ოქტომბერს, დღის 1 საათზე, № 1 მარშრუტის ავტობუსში (რუსთაველის პროსპექტზე) ქუ-რდობაში არაერთხელ შემჩნეუ- ...

... საქმისათვის მოეკიდებინათ ხელი 1940 წელს დაბადებულ გელა ვასაძეს (მცხოვრები ჯორჯიაშვილის ქ. № 1), ჯაბიკო ცირეკიძეს (მცხოვრები ნეკრასოვის ქ. № 100), რომელიც ნასამართლებიც არის, მაგრამ უშედეგოდ. გიგლა გაბაიძე (მცხოვრები ტყიბულის ქ. ...

... რიაზე მცხოვრები მოშვლლე მეზობლების დასაშოშმინებლად. მაგრამ ისინი ჯერ კიდევ არავის არ უწევენ ანგარიშს, არ ემორჩილებიან კანონიერ გადაწყვეტილებებს.

ასე ითქმის, მაგალითად, წულუკიძის ქუჩის № 94 სახლში მცხოვრებ კუკური ალექსანდრეს-ძე გიორგაძესა და წულუკიძის VIII შესახვევის № 39 სახლში მცხოვრებ დავით გიორგის-ძე ხუნწკარიას შესახებ, ჩანჩიბაძის ქუჩის 24-ე შესახვევის № 2 სახლში მცხოვრებ სერგო ნიკოლოზის-ძე ფუთკარაძესა და ნინოშვილის ქუჩის № 369 სახლში მცხოვრებ გივი ივანეს-ძე განიბაშვილზე, რომლებიც დაობენ ეზოების საზღვარზე.

დაუსრულებელი დავა აქვთ ჩანჩიბაძის ქუჩის № 67 სახლში მცხოვრებ ჯუმბერ ფურცხვანიძესა და ამავე ქუჩის № 61 სახლში მცხოვრებ ალიოშა დანგაძეს.

ძმები შალვა და შოთა ჯამბურიები (მცხოვრები დია ჩიანელის I შესახ. № 15) მიწის თაობაზე დაობენ, ხოლო გერონტი და სულიკო კვანტალიანები — ბინაზე. ვინ არ ჩაერია მათ საქმეში, მაგრამ შედეგი არ ჩანს, დავა დაუსრულებლად გრძელდება.

ბევრჯერ ურჩიეს სასარგებლო ...

... ბის პროსპექტი № 80), საზღვარზე — ბაგრატ ნოსელიძე (წერეთლის V ჩიხი, № 11) და როსტომ ნიშნიანიძე (წერეთლის V ჩიხი, № 13), იოსებ ტყემალაძე და ქუტუ მაღლაფერიძე (კიბულის ქ. № 17) ეზოს თაობაზე დაობენ წლების მანძილზე.

სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ მოქალაქეები, მაგრამ გულისტკივილით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ზოგიერთები მათი ხელშემწყობის როლში გამოდიან. ასე ითქმის ავთანდილ ვლადიმერის-ძე კილაძისა და მისი მეუღლის თინა გრიგოლის ასულ კილაძის (მცხ. თავისუფლების ქუჩის VI შესახვევი № 19) შესახებ. ისინი შაუმიანის ქუჩაზე სპეკულანტისაგან ნაყიდი ნივთით დააკავეს სახალხო რაზმელებმა. მათ შესახებ მილიციის მეორე განყოფილებიდან სათანადო წერილი გაეგზავნა წარმოებას (ავტოქარხანა), სადაც მუშაობენ.

შაუმიანის ქუჩაზე ხშირად ნახავთ მოქალაქეებს, რომლებიც სხვა რაიონებიდან და სოფლებიდან არიან ჩამოსული სპეკულანტებისაგან საზღვარგარეთული საქონლის შესაძენად. ასე ითქმის მაგალითად, გიორგი ივანეს-ძე სოფრომაძესა და ქეთო არჩილის ასულ სოფრომაძეზე (მცხ. სოფ. რუფოთში, თერჯოლის რაიონი). ისინი საკუთარი „მოსკვიჩით" (54-52 ...) დასეირნობდნენ შაუმიანის ქუჩაზე სასურველი ნივთის შესაძენად. შაუმიანის ქუჩის სტუმართა შორის იყვნენ აგრეთვე თერჯოლის ავტოსატრანსპორტო კანტორის მძღოლი მიხეილ ...

### საზოგადოებრივი წესრიგის შემდგომი განმტკიცებისა და სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდის დეკადა ქუთაისში

**გაზეთი „ქუთაისი", „კომუნისტის" კოლექტიური კორესპონდენტი.**

---

### პოლიეთილენის ნაწარმი პარგია!

**პ**ოლიეთილენის ტომრები, სუფრები, რომელთაც გაერთიანება „საქპოლიმერტარის" სათავო საწარმო უშვებს, მომხმარებელთა დიდ მოწონებას იმსახურებს. საწარმოს კოლექტივი სისტემატურად ზრდის პროდუქციის გამოშვებას, მუდამ გადაჭარბებით ასრულებს გეგმებს. მარტო 10 თვეში გეგმის გადამეტებით 182 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვა. ვადამდე შეასრულეს 11 თვის დავალებაც.

საწარმოს კოლექტივი ამ წარმატებას იმით აღწევს, რომ კარგად არის ორგანიზებული სოციალისტური შეჯიბრება, განმტკიცდა შრომის დისციპლინა. მუშათა დიდი უმრავლესობა დროს უსწრებს, ბევრი მათგანი ხუთწლედის დამამთავრებელი წლის ანგარიშში შრომობს.



**სურათზე:** მოწინავე მუშები, რომლებიც 1975 წლის ანგარიშში შრომობენ (მარცხნიდან მარჯვივ): მტვირთავი გ. ილურიძე, შემდუღებლები რ. ხუბელაშვილი, ნ. ნაცვლიშვილი, მწნეხავი ა. მირიანაშვილი და შემდუღებელი ვ. იურკოვი.

კ. კასრაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

---

# გზა და ავარია

### დამაფიქრებელი ფაქტები

◆

**გაიმართა** უსაფრთხო საგზაო მოძრაობის რესპუბლიკური კომისიის მორიგი სხდომა, რომელშიც მონაწილეობდნენ სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელები, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, ავტომეურნეობათა ხელმძღვანელები.

ერთ-ერთი ძირითადი საკითხი, ...

... როვანი წესრიგის დასამყარებლად.

მატულობს შემთხვევები ტრაქტორებზეც.

საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა ზრდა აღრიცხულია 18 სამინისტროსა და უწყების ავტომეურნეობებში. იგი განსაკუთრებით მაღალია რესპუბლიკის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის, სასოფლო მშენებლობის, ვაჭრობის, სოფლის მეურნეობის, საავტომობილო გზების, საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროებში. შემთხვევების ზრდა ყველაზე მეტად აღინიშნება სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ქუთაისსა და რუსთავში, გარდაბნის, დმანისის, ლაგოდეხისა და მცხეთის რაიონებში. თბილისში კი, პირიქით, თანდათან კლებულობს შემთხვევების რაოდენობა. ეს ტენდენცია უკვე მეხუთე წელია შეიმჩნევა.

კომისიამ აღნიშნა, რომ რესპუბლიკაში ავტოსაგზაო შემთხვევების ზრდის შესახებ მისი გაფრთხილების მიუხედავად ზოგიერთ სამინისტროს, უწყებას და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომს არ ...

... ბილი მგზავრთა გადასაყვანად, ამასთან ტექნიკურად გაუმართავი გაუშვა, ისევე როგორც საბჭოთა მეურნეობის პარკის მანქანების დიდი უმრავლესობა (მეურნეობის დირექტორი ა. კიკაბიძე). სახელმწიფო ავტოინსპექციის მიერ მოწყობილმა შემოწმებამ გამოავლინა სხვა სერიოზული ნაკლოვანებანიც ამ მეურნეობის მანქანათა ექსპლოატაციის საქმეში.

რესპუბლიკურმა კომისიამ აღნიშნა, რომ ადიგენის რაიაღმასკომის ხელმძღვანელობამ ვერ უზრუნველყო განხორციელებინა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილება საქვეუწყებო ავტოსატრანსპორტო ორგანიზაციებში სახელმწიფო წესრიგის დამყარების შესახებ და მკაცრად გააფრთხილა იგი. კომისიამ ყოვლად შეუწყნარებლად მიიჩნია აღმასკომის დამოკიდებულება სერიოზული საგზაო-სატრანსპორტო ...

... ავტომობილი ტექნიკურად გამართული იყო, მძღოლი კი ფხიზელი. მაშ რამ გამოიწვია ავარია?

გამოკვლევამ ცხადყო, რომ გზა ვერ უზრუნველყოფს სატრანსპორტო საშუალებათა მოძრაობის უსაფრთხოებას, მდინარეზე გადებული ხის ხიდები კი უაღრესად ცუდ მდგომარეობაშია. კომისიამ აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის 9 სექტემბერს ამავე ხიდიდან გადაიჩეხა მდინარეში ავტომობილი, რომლის მძღოლი დაიღუპა, ორი მგზავრი კი დასახიჩრდა. მიუხედავად ამისა, საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს და ზესტაფონის რაიონის ადგილობრივ ხელისუფალთ არ განუხორციელებიათ შესაბამისი ღონისძიებანი ხიდის ჯეროვან მდგომარეობაში მოსაყვანად.

კომისიამ სამინისტროს დაავალა გადასინჯოს თავისი გადაწყვეტილება და უფრო მკაცრი ზომები მიიღოს ამ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებში დამნაშავე პირთა მიმართ, ხოლო მასალები მათი დაუდევრობის ...

... მყოფში მიყვანამდე დაიღუპა, ხუთი კი მძიმედ დაშავდა.

კომისიამ ცნობად მიიღო, რომ საქართველოს კომპარტიის ცხაკაიას რაიკომის ბიურომ მკაცრად დასაჯა ავარიაში დამნაშავე პირნი, ხოლო ყველა ზემოაღნიშნული შემთხვევის გამო საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოები აწარმოებენ გამოძიებას.

საქართველოს ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტოტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების დარგობრივი სამეცნიერო-საკვლევი ლაბორატორიის გამგემ პროფესორმა რ. ფარცხალაძემ და ამავე ლაბორატორიის დოცენტმა გ. პაპიტაშვილმა კომისიას მოახსენეს რესპუბლიკის სამინისტროთა და უწყებათა მთელი რიგი ავტოსატრანსპორტო საწარმოების შემოწმების შედეგები. კერძოდ, მათ კომისიას მოახსენეს, რომ რუსთავის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალური განყოფილების ავტოსატრანსპორტო საწარმოში არ არის ავტომანქანების გეგმიანი ტექნიკური მომსახურება, მათი რემონტი კი საჭიროებისამებრ წარმოებს. ამ ავტომეურნეობის ხელმძღვანელი მუშაკები არ არიან მოცემული დარგის სპეციალისტები. სერიოზული ნაკლოვანებანია მანქანათა ტექნიკური მდგომარეობისა და მომსახურების საქმეში თბილისის საქალაქო აღმასკომის ტრესტ „წყალკანალიზაციის" წყალ- ...

---

# მეგობრობის ნადნობი

**რუსთავი, 29 ნოემბერი.** (საქინფორმის კორ.). კუბიდან დაბრუნდა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს მეფოლადე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მიხეილ სპანდერაშვილი. იგი ჩვენი ქვეყნის მშრომელთა დელეგაციის შემადგენლობაში სტუმრად იყო თავისუფლების კუნძულზე.

— არასოდეს დამავიწყდება ის გულითადი, ...

მოსკოვის ქარხანა „ელექტროფოლადის" მეფოლადესთან სოციალისტური შრომის გმირთან ვ. გარიაკინთან და კუბელ მეგობრებთან ერთად მეტალურგიულ ქარხანაში, რომელიც ჰავანის მახლობლად მდებარეობს, გამოვუშვით ჩქაროსნული, სრულწონიანი ნადნობი. ეს იყო ჩემი მეორე შეხვედრა კუბელ მეფოლადეებთან ფრანსისკოსთან და სანტესთან სსრ კავშირის 50 ...

# მსოფლიო დღეს

ამბები • ფაქტები • პრობლემები

**ჩილე**

## საკონცენტრაციო ბანაკებში აწამებენ ათასობით პატრიოტს

**საფრანგეთი**

## ფრანგ კომუნისტთა ბრძოლა სოციალური პროგრესისათვის

# მშვიდობისათვის!

**უცხოეთის გამოხმაურება ინდოეთში ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტის გამო**

მსოფლიოს პრესა, ყველა კონტინენტის საზოგადოებრივი და პოლიტიკური წრეები უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ ინდოეთში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის ოფიციალური მეგობრული ვიზიტის შედეგებს. სულ სხვადასხვა მიმართულების გაზეთები გამოთქვამენ აზრს, რომ დელის უმაღლესი დონის მოლაპარაკება არა მარტო გზას უხსნის თვისებრივად ახალ ეტაპს ორი ქვეყნის ურთიერთობის განვითარებაში, არამედ აგრეთვე უაღრესად კეთილსასურველ გავლენას ახდენს საერთაშორისო ვითარებაზე, განსაკუთრებით აზიაში.

ბერლინი. ინდოეთში ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტის დამთავრებისადმი მიძღვნილ მასალებში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გაზეთები ხაზს უსვამენ, რომ ვიზიტის ნაყოფიერი შედეგები კონკრეტულად გამოხატავს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის დიდ მუშაობას სკკპ XXIV ყრილობის მიერ მიღებული მშვიდობის პროგრამის განხორციელებისათვის, ლ. ი. ბრეჟნევის პირად წვლილს ხალხთა უშიშროებისა და თანამშრომლობის განმტკიცების კონკრეტული საკითხების გადაჭრაში.

კაირო. „ალ-აჰრამი", „ალ-გუმჰურია", „იჯიპშენ მეილი" და კაიროს სხვა გაზეთები ბეჭდავენ ვრცელ ინფორმაციას ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტის დამთავრების შესახებ, აქვეყნებენ საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ერთობლივ დეკლარაციას, ხაზს უსვამენ მის იმ ნაწილს, რომელიც ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობას შეეხება. „ალ-აჰრამი" ხაზს უსვამს, რომ „სსრ კავშირმა და ინდოეთმა გამოთქვეს მტკიცე განზრახვა კვლავაც დაუჭირონ მხარი არაბული სახელმწიფოების სამართლიან საქმეს და მოითხოვეს ისრაელის ჯარების მთლიანად გაყვანა ოკუპირებული არაბული ტერიტორიებიდან".

დამასკო. „სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი აფრთხილებს, რომ თუ უახლოეს მომავალში არ მოხდა მშვიდობიანი მოწესრიგება, თუ არ იქნა ლიკვიდირებული ისრაელის აგრესიის მთელი შედეგები, ახლო აღმოსავლეთში ყოველ მომენტში შეიძლება მოხდეს ახალი, კიდევ უფრო საშიში სამხედრო აფეთქება", — წერს „ას-საურა", რომელიც აქვეყნებს ლ. ი. ბრეჟნევის მიერ ინდოეთის პარლამენტში წარმოთქმული სიტყვის ვრცელ შინაარსს.

ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ „სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტი ინდოეთში უნდა მივიჩნიოთ ბუნებრივი განვითარების პროცესად" ორი ქვეყნის ურთიერთობაში, „და არა მოვლენად, რომელიც შეშფოთებას იწვევს".

ნიუ-იორკი. „ნიუ-იორკ ტაიმსი" ინდოეთში ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტის შედეგებს მიიჩნევს „ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ურთიერთობაში".

პარიზი. „საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ერთობლივი დეკლარაცია, — წერს „ლუმანიტე", — განამტკიცებს კავშირს, რომელიც კიდევ უფრო მნიშვნელოვან როლს შეასრულებს, ვიდრე წარსულში ასრულებდა, საერთაშორისო საქმეებში, განსაკუთრებით აზიასა და ახლო აღმოსავლეთში, დაძაბულობის შენელების გაფართოებასა და განმტკიცებაში".

# დავით ანდღულაძე



ქართულმა და მთელმა საბჭოთა მუსიკალურ-თეატრალურმა საზოგადოებრიობამ მძიმე დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა ქართველი ხალხის საყვარელი მომღერალი და გამოჩენილი პედაგოგი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, სსრკ სახელმწიფო და ზ. ფალიაშვილის სახელობის პრემიების ლაურეატი, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სოლო-სიმღერის კათედრის გამგე, პროფესორი **დავით იასონის-ძე ანდღულაძე.**

დ. ანდღულაძე დაიბადა 1895 წელს ოზურგეთის მაზრის (ამჟამად მახარაძის რაიონის) სოფელ ბახვში. 1914 წელს დაამთავრა ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი, ხოლო 1915-1921 წლებში სამხედრო სამსახურში იყო გაწვეული.

1921 წელს ბათუმში ცნობილმა მომღერალმა და პედაგოგმა ე. ვრონსკიმ აღმოაჩინა უნიკალური ხმით დაჯილდოებული ახალგაზრდა დ. ანდღულაძე, და იგი თავის ვოკალურ სტუდიაში ჩარიცხა. 1924 წელს კი დ. ანდღულაძემ სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში (კვლავ პროფესორ ე. ვრონსკის ხელმძღვანელობით), რომელიც 1927 წელს დაამთავრა.

დ. ანდღულაძის დაუცხრომელი შემოქმედებითი ცხოვრება 1926 წლიდან დაიწყო, როდესაც მან, საოპერო სტუდიაში ყოფნისას, შეასრულა კანიოს პარტია ლეონკავალოს ოპერა „ჯამბაზებში". უკვე მაშინ ერთ-ერთი რეცენზენტი დ. ანდღულაძის შესახებ წერდა: „მისი ხმა ძლიერი და განსაკუთრებით მოქნილია, ხან რბილი და სევდიანი, ხან ქარიშხალივით მოგრგვინილი, მაგრამ მუდამ გამომსახველი და თბილი".

1926 წლის 12 დეკემბერს თბილისის სახელმწიფო ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე შედგა დ. ანდღულაძის ბრწყინვალე დებიუტი ვერდის ოპერა „ბალმასკარადში". დ. ანდღულაძის მძლავრმა, კეთილშობილმა და მგზნებარე დრამატულმა ტენორმა ქართველ ხალხს აუწყა ეროვნული საოპერო ხელოვნების ჰორიზონტზე ახალი ვარსკვლავის ამობრწყინება.

1927 წელს კი დ. ანდღულაძემ თბილისის საოპერო სცენაზე შეასრულა რადამესის (ვერდის „აიდა"), კავარადოსისა (პუჩინის „ტოსკა") და აბესალომის (ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი") პარტიები. ეს მოხდა შემოქმედებითი ცხოვრების პირველსავე წელს, რაც ნამდვილად განსაცვიფრებელი ფაქტია და თვალსაჩინოდ მეტყველებდა დ. ანდღულაძის მოზღვავებულ შემოქმედებით ენერგიასა და ნიჭის მასშტაბებზე.

1927-1929 წლებში დ. ანდღულაძე მოსკოვის სტანისლავსკის თეატრალურ სტუდიაშია. დიდ რეჟისორ კ. სტანისლავსკისთან შემოქმედებითი ურთიერთობა უაღრესად ნაყოფიერი აღმოჩნდა ქართველი მომღერლისათვის. აქ შეისწავლა და განასახიერა დ. ანდღულაძემ ლევკოს (რიმსკი-კორსაკოვის „მაისის ღამე"), ცრუ დიმიტრის (მუსორგსკის „ბორის გოდუნოვი"), რუდოლფის (პუჩინის „ბოჰემა") პარტიები. აქვე დაიწყო მან მუშაობა გერმანის (ჩაიკოვსკის „პიკის ქალი") რთულ ფსიქოლოგიურ სახეზე, რომლის შესანიშნავ შემსრულებლადაც დ. ანდღულაძე აღიარებული იყო მთელ საბჭოთა კავშირში.

1929 წლიდან დ. ანდღულაძე კვლავ თბილისის საოპერო თეატრში მოღვაწეობს და ამდიდრებს თავის რეპერტუარს. განსაკუთრებით აღსანიშნავია მის მიერ ქართულ ენაზე შესრულებული დონ-ხოზეს პარტია ბიზეს „კარმენში". 1933-1935 წლებში დ. ანდღულაძე მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტია. ორი სეზონის მანძილზე მის მხრებზე გადიოდა ამ დიდი მუსიკალური ტრადიციების საოპერო თეატრის რეპერტუარი. მოსკოვის სცენაზე განსაკუთრებული წარმატებით შეასრულა მან რაულის ურთულესი პარტია მეიერბერის „ჰუგენოტებში", რომელიც საგანგებოდ დ. ანდღულაძისათვის დაიდგა.

1937 წელს დ. ანდღულაძემ თავი ისახელა ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადაზე მოსკოვში. იგი ამ დიდი ისტორიული მოვლენის ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურა იყო. დეკადაზე მან უდიდესი წარმატებით შეასრულა აბესალომის პარტია, რომელიც მან მოამზადა შესანიშნავი ქართველი დირიჟორის ე. მიქელაძის მუსიკალური ხელმძღვანელობით.

განუზომელია დ. ანდღულაძის ღვაწლი ქართული საბჭოთა საოპერო ხელოვნების განვითარების საქმეში. იგი მღეროდა მალხაზის პარტიას ზ. ფალიაშვილის „დაისში", შოთას დ. არაყიშვილის ოპერა „შოთა რუსთაველში". დ. ანდღულაძის აქტიური მონაწილეობით შეიქმნა და დაიდგა ახალი საბჭოთა ქართული ოპერები ა. ანდრიაშვილის „კაკო ყაჩაღი", შ. თაქთაქიშვილის „დეპუტატი", ი. ტუსკიას „სამშობლო", ალ. მაჭავარიანის „დედა და შვილი", ა. კერესელიძის „ბაში-აჩუკი", შ. აზმაიფარაშვილის „ხევისბერი გოჩა". ხოლო 1947 წელს შ. მშველიძის ოპერაში „ამბავი ტარიელისა" ტარიელის პარტიის ბრწყინვალე შესრულებისათვის დ. ანდღულაძეს სსრკ სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

დ. ანდღულაძის დიდ დამსახურებად ისიც ითვლება, რომ იგი ხელს უწყობდა თბილისის საოპერო თეატრის რეპერტუარის [illegible] რუსული საბჭოთა ოპერებით. განასახიერებდა რევოლუციური [illegible] „[illegible]" [illegible] „რღვევაში", ძერჟინსკის „წყნარ დონში" და ჩიშკოს „ჯავშნოსან პოტიომკინში".

თითქმის ოთხ ათეულ წელს ამშვენებდა დ. ანდღულაძე ქართული საოპერო თეატრის სცენას. 1953 წელს ოპერა „აბესალომ და ეთერის" ერთ-ერთი სპექტაკლის დროს დ. ანდღულაძე მძიმედ დაშავდა. ეს ტრავმა საბედისწერო აღმოჩნდა, იგი თავისდაუნებურად გამოეთხოვა სცენას. ძალზე შესამჩნევი იყო მისი წასვლა არტისტული სარბიელიდან, მაგრამ მშობლიური თეატრის სცენაზე დ. ანდღულაძის გმირების მღელვარე ცხოვრება განაგრძეს მისმავე ნიჭიერმა მოწაფეებმა. დ. ანდღულაძემ კი მთელი თავისი ენერგია, ცოდნა და მდიდარი გამოცდილება პედაგოგიურ მოღვაწეობას მოახმარა, რომელიც 1946 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე გრძელდებოდა. 1968 წლიდან დ. ანდღულაძე თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სოლო-სიმღერის კათედრის გამგე იყო. პროფესორმა დ. ანდღულაძემ მთელი სკოლა შექმნა და მომღერალთა რამდენიმე თაობა აღზარდა. დღეს მისი მოწაფეები ქართული საოპერო თეატრის აქტიურ შემოქმედებით ძალას წარმოადგენენ. მათ შორის მსოფლიო სახელი მოიხვეჭეს დ. ანდღულაძის მზრუნველი ხელმძღვანელობით აღზრდილმა მომღერლებმა სსრკ სახალხო არტისტმა ზ. ანჯაფარიძემ, საქართველოს სსრ სახალხო არტისტებმა ნ. ანდღულაძემ და ზ. სოტკილავამ.

დ. ანდღულაძე იყო სკკპ წევრი 1946 წლიდან. 1939 წ. იგი არჩეულ იქნა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად. 1945-1949 წლებში დ. ანდღულაძე თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი იყო.

დ. ანდღულაძის ნაყოფიერი შემოქმედებითი და პედაგოგიური მოღვაწეობა დიდად დააფასეს პარტიამ და მთავრობამ. 1941 წელს მას მიენიჭა საქართველოს სსრ სახალხო არტისტის წოდება, 1950 წელს კი იგი საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი გახდა. დ. ანდღულაძე ორგზის იყო დაჯილდოებული ლენინის ორდენით, მედლებით „კავკასიის დაცვისათვის" და „შრომითი მამაცობისათვის". ამ ცოტა ხნის წინათ კი დ. ანდღულაძის მრავალმხრივი ვოკალურ-საშემსრულებლო და პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მოღვაწეობა ზ. ფალიაშვილის სახელობის პრემიით აღინიშნა.

დ. ანდღულაძის — შესანიშნავი ქართველი მომღერლისა და პედაგოგის სახელი ოქროს ასოებით არის ჩაწერილი საბჭოთა მუსიკალურ-თეატრალური კულტურის ისტორიაში. ამ უშუალო და კეთილშობილი ადამიანის ნათელი სახე სამუდამოდ არის აღბეჭდილი მრავალრიცხოვანი თაყვანისმცემლების, მეგობრებისა და ამხანაგების ხსოვნაში.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო; თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი; თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია; საქართველოს სსრ თეატრალური საზოგადოება; საქართველოს მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საზოგადოება.

## განიხილავენ პრობლემებს

**გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომისიის სემინარი**

ვარშავა, 3 დეკემბერი. (საკდესი). დღეს აქ მუშაობა დაიწყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიური კომისიის სემინარმა თემაზე „ქიმიური მრეწველობა და გარემო". სემინარის მუშაობაში მონაწილეობენ 200 სპეციალისტი 20-ზე მეტი ქვეყნიდან, აგრეთვე ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს სამდივნოს, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციისა და ევროპის ეკონომიური გაერთიანების წარმომადგენლები. 60 მოხსენებაში, რომლებსაც სემინარზე წაიკითხავენ, განხილულია ისეთი პრობლემები, როგორიცაა ქიმიური წარმოების, განსაკუთრებით ნავთობის გადამუშავების გავლენა გარემოზე, ჰაერის, წყლისა და ნიადაგის გასაწმენდ თანამედროვე მოწყობილობათა აგება, სამრეწველო ნარჩენების გამოყენების ხერხები, ადამიანის გარემოს დაცვის მეთოდები.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიური კომისიის სემინარი, რომელიც პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის ინიციატივით ეწყობა, ხელს შეუწყობს მთელი რიგი პრობლემების გადაჭრას, რომლებიც მსოფლიოში ქიმიური მრეწველობის სწრაფი განვითარებიდან გამომდინარეობენ.

□

### პარიზში

პარიზი, 3 დეკემბერი. (საკდესი). დღეს აქ მუშაობა დაიწყო საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა. პლენუმის დღის წესრიგშია: სახალხო ბრძოლის განვითარება კრიზისის შედეგების წინააღმდეგ, მშრომელთა მასების სოციალურ საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის და კომუნისტთა საქმიანობა; გლეხები სოციალური პროგრესისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

## მოუწოდებენ ყველა დემოკრატს

პარიზი, 3 დეკემბერი. (საკდესი). აქ მუშაობა დაამთავრა მემარცხენე რადიკალთა მოძრაობის დამფუძნებელმა ყრილობამ, რომელიც კომუნისტურ და სოციალისტურ პარტიებთან ერთად შედის საფრანგეთის მემარცხენე ძალების კავშირში.

ყრილობის რეზოლუციაში, კერძოდ, ნათქვამია, რომ მემარცხენე რადიკალები ყველა დემოკრატს მოუწოდებენ დაირაზმონ მემარცხენე ძალების კავშირის გარშემო.

საგარეო პოლიტიკის დარგში ყრილობამ მხარი დაუჭირა ხალხთა თანამშრომლობას დაძაბულობის შენელების ინტერესებისათვის, სამხედრო ბლოკების გაუქმებისათვის.

**საკდესი გვატყობინებს**

# სოციალიზმის ქვეყნებში

## ახალ ბინებში

პრაღა. უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში ჩეხოსლოვაკიაში ახალი თანამედროვე ბინები მიიღო 6 მილიონამდე მოქალაქემ. საბინაო მშენებლობა განსაკუთრებით ფართოდ გაიშალა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში ამ უკანასკნელ წლებში.

მარტო 1970 წლიდან დღევანდლამდე ქვეყანაში აშენდა მეტი ბინები, ვიდრე ათი წინა წლის განმავლობაში. მეხუთე ხუთწლედის გეგმებით, რომლის ამოცანები განსაზღვრა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის მე-14 ყრილობამ, ქვეყანაში 1971-1975 წლებში ახალ ბინებში უნდა შესახლდეს სულ ცოტა ნახევარი მილიონი ოჯახი. ყოველწლიურად ახალი ბინების გასაღებებს იღებს 100.000-ზე მეტი ოჯახი.

საბინაო მშენებლობის დარგში დიდი ამოცანები დასახეს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიამ და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობამ მეექვსე ხუთწლედში.

## ბუნების დასაცავად

ბერლინი. გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში შემუშავებულია და წარმატებით ხორციელდება გარემოს დაცვის პროგრამა. მისი მიღება განპირობებულია სამრეწველო და საბინაო მშენებლობის მკვეთრი გაფართოებით, მოსახლეობის სიმჭიდროვის ზრდით.

მიმდინარე ხუთწლედში (1971-1975 წლებში) ბუნების დაცვის ვრცელი სახელმწიფო პროგრამის შესრულებისათვის გამოყოფილია 7 მილიარდი მარკა.

ვინც წინათ ყოფილა ზენფტენბერგის მაღაროელთა რაიონში და ახლა ეწვევა მას, გააოცებს მომხდარი ცვლილებები. ამ ადგილების უფერული ლანდშაფტი სრულიად შეიცვალა. გამომუშავებული კარიერი გადაიქცა ტბად, რომლის ზედაპირი 1.200 ჰექტარს შეადგენს, ხოლო მისი ნაპირები მშრომელთა დასვენების ახალი ზონაა: აგებულია პლაჟი, საავარაკო დაბა, კემპინგი, აშენდა დასასვენებელი სახლები. უახლოეს წლებში „ახალ ცხოვრებას" დაიწყებენ მურა ქვანახშირის კარიერები კოშენის, სკადოს, ლაუბუშის რაიონებში. განზრახულია მომავალი ტბები გააერთიანონ ვრცელ წყლის მასივად.




**გამოჩენილი ჩილელი პატრიოტების სალვადორ ალიენდეს და პაბლო ნერუდას სახელები ეწოდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქის ორ ქუჩას. ამ მოვლენის აღსანიშნავად გაიმართა ჩილელ ხალხთან სოლიდარობის მიტინგი, რომელშიც ბერლინის ათასობით მცხოვრები მონაწილეობდა.**

ადნ-საკდესის ფოტო.

## ხუნტის თვითნებობის წინააღმდეგ

ბუენოს-აირესი, ჩილეში გრძელდება სახალხო ერთიანობის მთავრობის მომხრეთა უსასტიკესი დევნა. აქ ჩამოსულმა ჩილელმა ლტოლვილებმა გვაცნობეს, კერძოდ, რომ საპატიმროში დაიღუპა ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი ქალაქის კონსეფსიონის ყოფილი მერი კომუნისტი ფერნანდო ალვარესი. იგი დააპატიმრეს გადატრიალებისთანავე, რომელიც 11 სექტემბერს მოახდინა მხედრიონმა. ჯალათებმა წამებით მოკლეს აგრეთვე ქალაქ კოკინბოს მერი ჩილეს კომპარტიის წევრი როსენდო როხასი.

კვლავ საპატიმროებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში იტანჯება მრავალი ათასი ჩილელი პატრიოტი.

ბელგრადი. როგორც ტანიუგის სააგენტო იუწყება, სანტიაგოში დააპატიმრეს ამ სააგენტოს კორესპონდენტი ჩილეში მ. პუდარი. მას ბრალს დებენ, რომ წერდა „ჩილეს საწინააღმდეგო სტატიებს". დაპატიმრების შემდეგ იუგოსლავიის ჟურნალისტი დაკითხეს.

მოგონილი ბრალდებები მ. პუდარის წინააღმდეგ ვერავის შეიყვანს შეცდომაში, ნათქვამია ტანიუგის სააგენტოს ცნობაში. მ. პუდარი, ხაზს უსვამს ტანიუგი, მართალ ინფორმაციას აწვდიდა იუგოსლავიისა და მსოფლიო საზოგადოებრიობას ჩილეს ფაშისტური სამხედრო ხუნტის ხასიათისა და იმის შესახებ, თუ როგორ დევნის იგი ამ ქვეყნის პროგრესულ ძალებს, რომლებიც მხარს უჭერდნენ პრეზიდენტ სალვადორ ალიენდეს მთავრობას.

ტანიუგის სააგენტომ ენერგიული პროტესტი გაუგზავნა ჩილეს ხელისუფლებს და მოსთხოვა დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ მ. პუდარი.

სანტიაგოში ტანიუგის კორესპონდენტის დაპატიმრებასთან დაკავშირებით იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა საკავშირო სამდივნომ მტკიცე პროტესტი გაუგზავნა ჩილეს საგარეო საქმეთა სამინისტროს, ენერგიული ფორმით მოსთხოვა დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს იუგოსლავი ჟურნალისტი.

კარაკასი. ვენესუელის ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა ეროვნულმა პროფკავშირმა მიიღო გადაწყვეტილება გაშალოს ჩილეს იმ ჟურნალისტებისადმი სოლიდარობის ფართო კამპანია, რომლებიც სამხედრო ხუნტამ საპატიმროებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში დაამწყვდია. მან მოუწოდა ქვეყნის პოლიტიკურ პარტიებს, პროფკავშირებს, კულტურულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს გააძლიერონ მოძრაობა ჩილელი პატრიოტების მხარდასაჭერად.

# ფაქტები

### ○ ბონი

შლანგენბადში (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) ერთმანეთს შეხვდნენ გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერი ვ. ბრანდტი, ავსტრიის სოციალისტური პარტიის თავმჯდომარე, ავსტრიის კანცლერი ბ. კრაისკი და შვეციის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე, შვეციის პრემიერ-მინისტრი უ. პალმე. როგორც ბონში გამოაცხადეს, შეხვედრაზე, კერძოდ, განიხილეს „ევროპის პოლიტიკის ზოგიერთი ასპექტი", აგრეთვე ევროპის ენერგეტიკული კრიზისის გამწვავებასთან დაკავშირებული საკითხები.

### ○ ვარშავა

ვარშავის სავოევოდო სასამართლომ სიკვდილის განაჩენი გამოუტანა სპეციალური დანიშნულების ფაშისტური რაზმის ყოფილ სამ პოლიციელს — იოზას მიკაიშუსს, ვლადას ბუტკუნასსა და იონას ბარკაუსკასს. 1941-1944 წლებში ჯალათები ზქტიურად მონაწილეობდნენ ვილნიუსის მახლობლად მშვიდობიანი მოქალაქეების მასობრივ დახვრეტაში.

### ○ ტოკიო

იაპონიის პრემიერ-მინისტრმა კ. ტანაკამ მოუწოდა ერს დაზოგონ ენერგია. გამოვიდა რა დღეს პარლამენტის სესიის გახსნაზე, მან აღნიშნა, რომ ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტთან დაკავშირებით ნავთობის მიწოდების შემცირებით გამოწვეულ სიძნელეთა დასაძლევად საჭიროა გაძლიერდეს კონტროლი ნავთობისა და საწვავის მოხმარებისადმი, გამოინახოს ენერგიის ახალი წყაროები და შემცირდეს იაპონიის დამოკიდებულება მსოფლიოს გარკვეული რაიონებიდან ნავთობის იმპორტზე.

### ○ ნიუ-იორკი

დღეს ხუთი შეიარაღებული ბოროტმოქმედი შეიჭრა ჰარვარდის უნივერსიტეტის მუზეუმში და მოიტაცა 5.000-ზე მეტი იშვიათი ბერძნული და რომაული მონეტა, რომლებიც ინახებოდა იქ. მოპარული მონეტების ღირებულება შეფასებულია მილიონობით დოლარად. უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ეს ამერიკის შეერთებული შტატების მთელი ისტორიის მანძილზე ასეთი სახის უდიდესი ქურდობაა.

### ○ ბელგრადი

დეკემბერს უჩვეულოდ ძლიერი თოვლი და ყინვა მოჰყვა იუგოსლავიაში. წუხელ თერმომეტრი სარაევოში უჩვენებდა 25 გრადუს ყინვას. ბოსნიისა და ჰერცოგოვინის ზოგიერთ რაიონში თოვლის საფარი თითქმის ნახევარ მეტრს აღწევს.

**დოკუმენტური კინო საზღვარგარეთ**

# მაინც ვინ მოკლა რობერტ კენედი?

**შეიძლება** ითქვას, რომ ამ ფილმის შექმნა დაიწყო 1968 წლის 4 ივნისს, როცა ლოს-ანჯელესის სასტუმრო „ამბასადორის" დერეფანში სისხლში მოსვრილი დაეცა ამერიკის შეერთებულ შტატებში პოპულარული სენატორი — დემოკრატი რობერტ კენედი, მკვლელის ტყვიამ შეწყვიტა მისი აქტიური წინასაარჩევნო კამპანია ამერიკის პრეზიდენტობის პოსტისათვის ბრძოლაში.

იმ საღამოს პროდიუსერი და კინოსცენარისტი თეოდორ კარაჩი სასტუმროს ბუფეტში იმყოფებოდა და მოწმე გახდა იმ ტრაგიკული ამბებისა, რომლებმაც შემდეგ ასახვა ჰპოვეს მის ფილმში „მეორე პისტოლეტი".

კარაჩის კინოფილმი, რომელსაც უჩვენებენ ნიუ-იორკის კინოთეატრებში, — ეს არის გულდასმით დოკუმენტირებული ცდა გაანალიზოს რობერტ კენედის მოკვლის გარემოებანი და უფრო მეტიც, უარყოს ოფიციალური გამოძიების მონაცემები.

„უდიდესი დამაჯერებლობით, ფაქტების ანალიზის შედეგად გაკეთებული დასკვნებით ფილმის ავტორი ცდილობს დაამტკიცოს, რომ რ. კენედის მკვლელობის მომენტში მოხდა გასროლა კიდევ ერთი პისტოლეტიდან, გარდა სირხან სირხანისა; რომ ამ პისტოლეტიდან გასროლილი ტყვია საბედისწერო აღმოჩნდა, რომ სირხანის მიერ გასროლილი არც ერთი ტყვია არ მოხვედრია კენედის, რომ პოლიციამ გვერდი აუარა ყველა იმ ჩვენებებს, რომლებიც უპირისპირდებოდნენ მის დასკვნებს თითქოს სირხანი ერთადერთი მკვლელია", — წერს ფილმის გამოსვლასთან დაკავშირებით გაზეთი „ნიუ-იორკ პოსტი".

კარაჩი, რომელმაც ხუთი წელი მოანდომა დოკუმენტური მასალის შესწავლას, არ ეთანხმება ხელისუფლების ოფიციალური კომისიის ვერსიას, თითქოს რობერტ კენედი ვიღაც მარტოხელა მკვლელის უგუნური და უაზრო ქმედობის მსხვერპლი გახდა.

ფილმი უხვად შეიცავს ჩვენებების და დაკითხვების საყურადღებო მასალას. ჩვენებას აძლევს გამომძიებელი თომას ნოგუტი, რომელმაც განაცხადა, რომ სასიკვდილო ტყვია სენატორს მოხვდა თავში მარჯვენა ყურს უკან, ამასთან გასროლა მოხდა 3-5 სანტიმეტრის მანძილიდან მაშინ, როდესაც, მოწმეთა ჩვენების თანახმად, სირხანი კენედის შესახვედრად პირისპირ მიდიოდა და თან წინ გაშვერილი ხელით ესროდა არანაკლებ 60 სანტიმეტრის მანძილიდან.

ამავე დროს დადასტურებულია, რომ კენედის უკან და ოდნავ მარჯვნივ იდგა უშიშროების აგენტი ტეინ იუჯინ სეზარი და მას ჰქონდა პისტოლეტი, რომელიც მან, როგორც თვითონ განაცხადა, ჯიბიდან ამოიღო.

მაგრამ, როგორც კარაჩმა დაადგინა, სეზარის პისტოლეტი ექსპერტიზის მიერ არ ყოფილა შემოწმებული და გამომძიებელი მხოლოდ უშიშროების აგენტის ზერელე დაკითხვით დაკმაყოფილდა.

სეზარმა აღიარა აგრეთვე, რომ მას ჰქონდა 22 მმ. კალიბრიანი პისტოლეტი (ისეთივე, როგორიც სირხან სირხანს), მაგრამ ისიც დასძინა, თითქოს პისტოლეტი ივნისში რ. კენედის მოკვლამდე გაეყიდოს. კარაჩმა მყიდველსაც მიაგნო. მან განაცხადა, რომ პისტოლეტი სეზარისაგან შეიძინა სექტემბერში და დამამტკიცებელ საბუთად წარადგინა სეზარის ხელწერილი, რომელიც სექტემბრის თვით იყო დათარიღებული.

ეკრანზე გამოჩნდება ბალისტიკის ცნობილი სპეციალისტი უილიამ ჰარპერი, რომლის ჩვენებები აბათილებენ ექსპერტ დეუინ ვულფერის ოფიციალურ ვერსიას. როგორც იგი ამბობს, მიკვლეული ტყვიები ერთი პისტოლეტიდან არ ყოფილა გასროლილი და თუ გავითვალისწინებთ მათ ურთიერთსაწინააღმდეგო ტრაექტორიას, უნდა ვივარაუდოთ, რომ იმ საღამოს გამოყენებულ იქნა მეორე პისტოლეტიც.

ფილმში სხვა მოწმეებიც მონაწილეობენ, დაწყებული ფოტოგრაფიდან, რომლის მიერ ფოტოფირზე აღბეჭდილი მკვლელობის კადრები კონფისკებულ იქნა პოლიციის მიერ და შემდეგ სადღაც უკვალოდ „გაქრა" და გათავებული მოწმით, რომელიც სასამართლოზე დისკრედიტირებულ იქნა იმის გამო, რომ მისი ჩვენებები ეწინააღმდეგებოდა ოფიციალურ ვერსიას.

მაყურებელი ისმენს ინტერვიუს პროკურორ ევილ იანგერთან და ლოს-ანჯელესის საოლქო პროკურორ ჯოზეფ ფუშთან და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ეს პირნი ნერვიულად თავს არიდებენ ყველა იმ თეორიებს, რომლებიც მათ თვალსაზრისს ეწინააღმდეგება, და ცდილობენ რაც შეიძლება მალე დაამთავრონ გამოძიება და სამუდამოდ დაივიწყონ „ამბასადორში" მომხდარი ტრაგედია.

„მეორე პისტოლეტი" — ეს არის ფილმი, რომელიც ძალაუნებურად გაფიქრებინებს, რომ ნამდვილი მკვლელი, შესაძლოა, თავისუფლად დაპარპაშობს, ხოლო სირხან სირხანი შეთქმულების ერთობ რთული მექანიზმის ერთი პატარა ხრახნია.

**უცხოეთის პრესის მასალებიდან.**

## დიდი მომღერლის ხსოვნას

### ჩინებული პედაგოგი, შემოქმედი

პირველი შთაბეჭდილება, ამბობენ, ადამიანზე ღრმა კვალს სტოვებს, და მეც ის პირველი განწყობილება, რომელიც შემიქმნა მომღერალმა დავითმა, არასდროს არ დამავიწყდება. სცენაზე იდგა ახოვანი, შთამბეჭდავი გარეგნობის მსახიობი, რომლის მღერი, საოცრად ლამაზი ხმა სულს აღელვებდა. გავიდა ხანი, და შთაბეჭდილებები კიდევ მრავალი ფერებით გამდიდრდა. ქართული მუსიკალური საოპერო სცენიური სახეების გვერდით შეიქმნა ნატიფად გამოძერწილი გერმანი „პიკის ქალში", რადამესი „აიდაში" დონ-ხოზე „კარმენში"...

დავით ანდღულაძესთან როგორც უკვე სახელმოხვეჭილ შემოქმედთან ბედრმა შემახვედრა საერთო საქმემ თუ გარემოებამ. ყოველთვის თავშეკავებული, ამასთან ერთად გულწრფელი და გულახდილი, მისი საუბარი და მსჯელობა მუდამ იყო მიმართული ქართული ხელოვნების სიკეთისადმი.

ვისაც ერთხელ მაინც განუცდია დავით ანდღულაძის სცენიურ სახეთა დრამატული სიმძაფრე, მას ძნელად თუ დაავიწყდება ისინი.

ვოკალური ხელოვნების ღრმა ცოდნამ, პირადმა გამოცდილებამ, გულდინჯობამ დროთა განმავლობაში შექმნა ჩინებული პედაგოგი. მისკენ მიილტვოდნენ ახალგაზრდები და მათ სჯეროდათ, რომ მხცოვანი მასწავლებლისაგან ფასდაუდებელ საუნჯეს მიიღებდნენ. ზურაბ ანჯაფარიძე, ზურაბ სოტკილავა, ნოდარ ანდღულაძე ამ ბრწყინვალე სკოლის საუკეთესო დახასიათებაა.

დავით ანდღულაძე იმ მოქალაქეთა რიცხვს ეკუთვნის, ვინც ბოლო ამოსუნთქვამდე ეროვნული სამსახურის მწყობრში დგანან. მისი სამომღერლო ასპარეზი პედაგოგიური თავდადებით შეიცვალა და მასთან გამოთხოვება მით უმეტეს სადალალოა.

**ოთარ თაქთაქიშვილი,**
საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი.

### სცენის დიდოსტატი

დაეცა საოპერო ხელოვნების დედაბოძი, დაეცა აბესალომის, მარიო კავარადოსის, გერმანის, დონ-ხოზეს, სამსონის, ლოენგრინის, ოტელოს, რადამესის, კანიოს და ტარიელის — ამ გმირთა პარტიების განმახორციელებელი ქართულ საოპერო სცენაზე. დიდი ხელოვანი და თეატრის დიდოსტატი. აღარა გვყავს ქართული მუსიკის ერთ-ერთი მძლავრი მესვეური და ბრწყინვალე პედაგოგი, სახელმოხვეჭილი მომღერლების აღმზრდელი და ხალხის სამსახურისათვის ტონის მიმცემი დავით ანდღულაძე. ეს იყო ელვარე დროშა, ანთებული ლამპრით რომ აღწევდა ყველგან, სადაც ქართულ საოპერო ხელოვნებას გაუჭირდებოდა.

სასიამოვნოა, რომ მან დაგვიტოვა ძლევამოსილი ვოკალური სკოლა და მთელი პლეადა შესანიშნავი მოწაფეებისა, რომელთა მოღვაწეობითაც ამაყობდა დიდი მომღერალი, მასწავლებელი და ამაყობს ჩვენი ერი.

მე მქონდა ბედნიერება მეხილა დავით ანდღულაძე ჩემს ოპერაში „ამბავი ტარიელისა" მთავარი პარტიის შემსრულებლად. სამოცჯერ გადაიკიდა მან ვეფხის ტყავი სცენაზე და სამოცჯერვე შემოსძახა:

„ლხინი მოგვეცა, მოგვშორდა
ყოველი ჭირი ძნელია,
ბოროტსა სძლია კეთილმან,
არსება მისი გრძელია".

ახალი ოპერების დადგმებში და საერთოდ ყოველგვარ ღონისძიებათა განხორციელების დროს იგი სწვდებოდა დიდ სიღრმეებს, განიცდიდა ყოველ დეტალს და გულმხურვალედ ეხმარებოდა ყველას. „ტარიელის" დადგმის განხორციელებისათვის საოპერო თეატრმა 1947 წელს პირველი ხარისხის სახელმწიფო პრემია დაიმსახურა. დამდგმელ ჯგუფს დავით ანდღულაძესთან ერთად ლაურეატების წოდება მიენიჭა.

დიდად კმაყოფილი ვარ, რომ ეს წოდება სწორედ ტარიელის შესრულებისათვის მიენიჭა მას.

დიდი შემოქმედებითი აღმავლობით ხასიათდება ჩვენი საოპერო თეატრის ის პერიოდი, განსაკუთრებით 1945-47 წლები, როცა თეატრის სამხატვრო ნაწილს სათავეში ედგა დავით ანდღულაძე.

ნათელი და მარადიული იყოს მისი ხსოვნა ქართველი ხალხის გულში. გაცისკროვნდეს და გაბრწყინდეს ის გზა, რომლითაც მომავალში წავა ჩვენი საოპერო და საბალეტო თეატრი, მისი მომავალი სამუსიკო კულტურა, რომლის ერთ-ერთ ბურჯს, დიდ ხელოვანს და ხალხის საყვარელ მომღერალს დღეს სამუდამოდ ვეთხოვებით და რომლის კეთილი საქმენი გზას დაულოცავენ ჩვენს მომავალ თაობას.

**შალვა მშველიძე,**
საქართველოს სსრ სახალხო არტისტი.

### ფასდაუდებელი ამაგი

ზოგიერთ შემთხვევაში მასწავლებლის ამაგს მშობლების ამაგიც კი ვერ გადასწონის. მე არაერთხელ მიფიქრია, რომ დადგება დრო და უმასწავლებლოდ აღმოჩნდები-მეთქი და, როგორც ყველას გვჭირვია, საზარელი ფიქრი შორს დამიჭერია, მაგრამ ბუნება მბრძანებელია და მაინც მოვესწარი იმ მწარე დღეს. როცა ასე გულდაგულ ვეგებოდი...

დავით ანდღულაძის მასწავლებლობა, ზრუნვა და ამაგი მოწაფეებს მთელი სიცოცხლის მანძილზე მიჰყვებათ. ხშირად მივსულვართ მასთან უკვე ცნობილი მომღერლები და პროფესიული გაკვეთილი მიგვიღია. მისი კარი მუდამ ღია იყო ჩვენთვის. ის გულდასმით მოგვისმენდა, გაიგებდა ჩვენს ტკივილს, დაგვაწყნარებდა, რწმენას დაგვიბრუნებდა. მას შესწევდა ამის ძალა და უნარი. მოწაფის ჭირ-ვარამი თუ დღესასწაული მის არსებაში ტოლ განწყობილებებს იწვევდა. ამიტომ გვიყვარდა ჩვენი მასწავლებელი, ამიტომ მივგიხაროდა მისკენ.

მახსოვს „აბესალომში" ჩემი დებიუტი. ვერავითარმა საშუალებამ ვერ დამამშვიდა, სპექტაკლი იწყებოდა, ჩემი კანკალი კი არ მთავრდებოდა. რა არა ვცადე და მხოლოდ დავით ანდღულაძემ შესძლო თავისი ბუნებითა და ადამიანური სითბოთი ჩემი დამშვიდება.

...დავით ანდღულაძის მოწაფეები მის ამაგს ალბათ ვერასოდეს ვერ გადავიხდით.

**ზურაბ ანჯაფარიძე,**
საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი.

# მსოფლიო დღეს

# ხიშტით და კალმით

### შეხვედრა ფრონტელ ჟურნალისტებთან

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სხდომათა დარბაზში საქართველოს ჟურნალისტთა კავშირმა მოაწყო კავკასიისათვის ბრძოლის მონაწილე ჟურნალისტთა შეხვედრა ჟურნალ-გაზეთებში, ტელევიზიასა და რადიოში მომუშავე ჟურნალისტებთან, ფრონტზე დაღუპული ჟურნალისტების ოჯახის წევრებთან და დიდი სამამულო ომის ვეტერანებთან.

შესავალი სიტყვით შეხვედრა გახსნა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის მდივანმა, გაზეთ „სახალხო განათლების" რედაქტორმა ნ. შველიძემ.

მოხსენება კავკასიისათვის ბრძოლის შესახებ გააკეთა თბილისის ოფიცერთა სახლთან არსებული სამხედრო-სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარემ, გადამდგარმა გენერალ-მაიორმა ნ. კალაძემ.

მოგონებანი კავკასიისათვის ბრძოლის გმირული ეპოპეის ეპიზოდებზე შეხვედრის მონაწილეებს გაუზიარეს საქართველოს სსრ დამსახურებულმა ჟურნალისტებმა 392-ე ქართული მსროლელი დივიზიის წითელარმიული გაზეთის ყოფილმა პასუხისმგებელმა მდივანმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ პ. შამათავამ, 398-ე მსროლელი დივიზიის წითელარმიული გაზეთის ყოფილმა პასუხისმგებელმა მდივანმა, გაზეთ „სოფლის ცხოვრების" რედაქტორმა მ. დავითაშვილმა და 224-ე ქართული მსროლელი დივიზიის წითელარმიული გაზეთის ყოფილმა რედაქტორმა, საქინფორმის ყოფილმა რედაქტორმა ვ. სიხარულიძემ, საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებულმა მუშაკმა — საფრონტო გაზეთის „ყირიმის საბრძოლოს" ყოფილმა პასუხისმგებელმა მდივანმა ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის დირექტორმა ა. კელენჯერიძემ და ამ გაზეთის ყოფილმა კორესპონდენტმა, გაზეთ „კომუნისტის" მუშაკმა ა. ალიბეგაშვილმა, ფრონტელმა პოეტმა რ. მარგიანმა, არმიის გაზეთის „წინ სამშობლოსათვის" ყოფილმა მდივანმა, გამომცემლობა „მერანის" უფროსმა რედაქტორმა ნ. აგიაშვილმა, არმიის გაზეთის ყოფილმა კორესპონდენტმა, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის მუზეუმის დირექტორმა ი. კეზერაშვილმა, ომის ვეტერანმა ი. ლეჟავერიძემ.

ფრონტელ ჟურნალისტებს სიტყვებით მიმართეს ომის ვეტერანთა საბჭოთა კომიტეტის წევრმა, ომის ვეტერანთა თბილისის სექციის თავმჯდომარის მოადგილემ, გადამდგარმა გენერალ-მაიორმა ნ. თავართქილაძემ და საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარემ გაზეთ „კომუნისტის" რედაქტორმა დ. მჭედლიშვილმა.

შეხვედრის დასასრულს უჩვენეს დოკუმენტური ტელეფილმი „კაპიტანი ბუხაიძე".

ფოიეში მოწყობილი იყო საფრონტო გაზეთების, აგრეთვე დიდი სამამულო ომის მონაწილე ჟურნალისტთა წიგნების გამოფენა (საქინფორმი).

## დობილები

### მეგობრობა გრძელდება

ამბროლაური. (საკ. კორ.). სამამულო ომის მძიმე დღეები იყო. ორი დობილი — სხვიტორელი მარიამ ქართველიშვილი და კვაცხუთელი ელენე კერვალიშვილი ერთ სამხედრო ჰოსპიტალში მუშაობდნენ. ჰოსპიტალში გოგონები სომეხ ქალიშვილს არეს კუგასიანს დაუმეგობრდნენ. დამთავრდა ომი, ვალმოხდილი მედდები მშობლიურ კუთხეს დაუბრუნდნენ, საკუთარი ოჯახები შექმნეს. ორივე ახლა სკოლამდელი ბავშვების აღზრდას ემსახურება, პატარებზე ზრუნვაში გაჭაღარავდნენ. ისინი არ ივიწყებენ თავიანთ სომეხ მეგობარს, ხშირი მიმოწერა აქვთ მასთან.

ამ შემოდგომაზე მარიამ და ელენე სტუმრად ეწვივნენ არეს კუგასიანს. გამოთხოვებისას მათ პირობა დადეს, რომ ერთმანეთთან სტუმრობას ტრადიციად აქცევენ. ახალი წლის პირველ დღეებში არეს კუგასიანს ამბროლაურში ელოდებიან.

## რუსთავი— ინდოეთი

რუსთავი, 28 ნოემბერი. (საქინფორმის კორ.). რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივმა 28 ნოემბერს ინდოეთში ბოკაროს მეტალურგიული ქარხნის მშენებლობაზე გაგზავნა სამასი ტონა სხვადასხვა კვეთის მილები.

რუსთაველი მეტალურგები დიდი ყურადღებით ეკიდებიან მეგობარი ქვეყნის შეკვეთებს. ასე იყო ამჯერადაც. შესანიშნავად იმუშავეს მეფოლადეებმა, მგლინავებმა.

წლის დამდეგიდან ქარხანამ ინდოეთში გაგზავნა 670 ტონა მილი.

## სკოლა და ცხოვრება № 11

გამოვიდა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ყოველთვიური სამეცნიერო-პედაგოგიური ჟურნალის „სკოლა და ცხოვრების" მორიგი მე-11 ნომერი.



სურათზე: სსრ კავშირისა და იუგოსლავიის მოჭადრაკეთა ტრადიციული მატჩის მონაწილენი.

ვლ. ბინზბურგის ფოტო.

# მატჩის ბედი გადაწყვეტილია

### საბჭოთა კავშირი-იუგოსლავია

☐ 12 წლის დებიუტანტი მაია ჩიბურდანიძე ამარცხებს იუგოსლავიის ჩემპიონს ☐ ექს-ჩემპიონის „სპარინგ-მატჩი" ☐ მწვრთნელი მოლუშული სტოვებს სცენას

საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის გუნდები შეიძლება სამ ნაწილად დავყოთ. თუ ვაჟთა 6 დაფაზე საბჭოთა მოჭადრაკეებს შედარებით მცირე უპირატესობა აქვთ, სამაგიეროდ, ძალზე უთანაბროა შეფარდება ქალთა და ჭაბუკთა დაფებზე — აქ მასპინძელთა უპირატესობა თვალსაჩინოა. თავდაპირველი შეთანხმებით იუგოსლავიელებს მაია ჩიბურდანიძის წინააღმდეგ გოგონა უნდა გამოეყვანათ. მათ მართებულად მიიჩნიეს, რომ ეს სრული უაზრობა იქნებოდა და ნება ითხოვეს ამ დაფაზე იუგოსლავიის ჩემპიონი ქალთა შორის, 21 წლის კალხბრენერი ეთამაშებინათ. გაზაფხულზე კალხბრენერი ჩიბურდანიძეზე უკეთ თამაშობდა, ახლა კი...

მატჩის დაწყებამდე პეტროსიანმა საბჭოთა გუნდის ხელმძღვანელებს კატეგორიულად განუცხადა: მხოლოდ იმ შემთხვევაში ვითამაშებ, თუ იუგოსლაველთა ნაკრებში გლიგორიჩი გამოვაო. როგორც კი დადასტურდა გლიგორიჩის მონაწილეობა, პეტროსიანი თბილისში ჩამოვიდა. საქმე ის არის, რომ „გლიგა" (ასე უწოდებენ მოჭადრაკეთა წრეებში გლიგორიჩს) თამაშობს მანერით და, თუ გნებავთ, სადებიუტო რეპერტუარითაც ჩამოჰგავს პეტროსიანის მეტოქეს მომავალ მატჩში პორტიშს. ასე რომ, პეტროსიანი ახლა „სპარინგ-მატჩს" თამაშობს „მეორე პორტიშთან". თავისთავად ცხადია, მასთან თამაში ისევე ძნელია, როგორც „პირველ პორტიშთან". გლიგორიჩი არასოდეს არ ყოფილა მსოფლიოს ექს-ჩემპიონისათვის იოლი მეტოქე.

მესამე ტურის პარტიაშიც გლიგორიჩმა და პეტროსიანმა 22 სვლიანი ყაიმის მიუხედავად ფრიად საინტერესოდ, ენერგიულად ითამაშეს. იუგოსლაველმა გროსმაისტერმა თეთრებით ვერაფერი მიიღო და სრულიად თანაბარ პოზიციაში ბრძოლის გაგრძელება უაზრო გახდა.

ველერ-ივკოვის შეხვედრაში ორი „მოკლემეტრაჟიანი ყაიმის" შემდეგ პირველად გაიმართა მძაფრი ბრძოლა. ივკოვმა უარესი პოზიცია მიიღო, მაგრამ დიდხანს მარჯვედ იცავდა თავს. აქ საქმეში ჩაერია ივკოვის ძველი მტერი — ცაიტნოტი. დიდ სიჩქარესა და ფაციფუცში იუგოსლაველმა ჯერ ლია ხაზი დაუთმო მეტოქეს და ფაქტიურად შეიბორკა ხელდახელ, ხოლო შემდეგ თეთრების ელემენტარული მუქარა გამორჩა და საათი გააჩერა. ცუდი სამსახური გაუწია ცაიტნოტმა ველიმიროვიჩსაც. მას ზედმეტი პაიკი და უკეთესი პოზიცია ჰქონდა ვასიუკოვთან. დროის სიმცირის გამო ველიმიროვიჩმა არა მარტო დაკარგა უპირატესობა, არამედ მძიმე პოზიციაშიც კი გადადო შეხვედრა. პარმამ გაჭირვებით მიაღწია ყაიმს ტაიმანოვთან. სტუმრები იმედს მხოლოდ მატულოვიჩზე ამყარებენ, რომელსაც გადადებულ პოზიციაში უპირატესობა აქვს კუზმინთან. ჯინჯიხაშვილმა ლამაზი შეტევით მოუგო ივანოვიჩს.

მსოფლიოს ჩემპიონ გაფრინდაშვილს მოულოდნელად გამოსასვლელი დღე ჰქონდა. მისი მეტოქე ქოვაჩევიჩი ავად გახდა და გამოტოვა შეხვედრა. ეს პარტია დღეს დილით გათამაშდება. დიდძალი მაყურებელი დაძაბულად, სიამოვნებით ადევნებდა თვალს კალხბრენერ-ჩიბურდანიძის შეხვედრას. როგორც გლიგორიჩმა განაცხადა, იგი პირდაპირ გაოცებულია ნორჩი მაიას ოსტატობით. როგორც ახალგაზრდებს სჩვევიათ, ჩიბურდანიძე სწრაფად თამაშობს, მაგრამ ეს სისწრაფე სრულიადაც არ ვნებს მისი პარტიების ხარისხს. მსოფლიოს ექს-ჩემპიონი პეტროსიანი პარტიის დამთავრების შემდეგ დიდხანს არჩევდა კალხბრენერ-ჩიბურდანიძის პოზიციას, მეტოქეებს რამდენიმე შეკითხვით მიმართა და მეტად კმაყოფილი დარჩა გოგონას პასუხებით. „ექვგარეშეა, ჩვენ უძლიერესი ნიჭიერ მოჭადრაკესთან გვაქვს საქმე" — ამბობს პეტროსიანი.

რა მოხდა ამ პარტიაში? ის, რომ კალხბრენერმა მესამედაც ვერ მოახერხა თუნდაც ნახევარი ქულის ხსნა. იცვლებოდა ფიგურები, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავდა საყაიმო შედეგის მოახლოებას. ჩიბურდანიძე მტკიცედ ატარებდა სტრატეგიულ გეგმას. იგი დაეუფლა ღია ხაზს, ცენტრალურ უჯრებს და დაიწყო პირდაპირი იერიში. კალხბრენერი გამოსავლის ძიებამ მძაფრ ცაიტნოტამდე მიიყვანა. იუგოსლავიის ჩემპიონმა დიდი მატერიალური ზარალი ნახა და მეტოქის გამარჯვება მიულოცა. მაყურებლებმა, მსაჯების პროტესტის მიუხედავად, მქუხარე ტაშით დააჯილდოეს გამარჯვებული.

ჭაბუკთა დაფებზე, როგორც აღვნიშნეთ, იუგოსლავიელები სათანადო წინააღმდეგობას ვერ უწევენ ჩვენს მოჭადრაკეებს. პანჩენკომ მოუგო მარიანოვიჩს, მიხალჩიშინმა — მილოვანოვიჩს. მხოლოდ მაჩულსკი — ჯურიჩის პარტიაში იყო რამდენადმე თანაბარი ბრძოლა. პარტია გადაიდო მწვავე პოზიციაში. იუგოსლავიის ნაკრების მწვრთნელმა პეტარ სმედერევაცმა მოლუშულმა დატოვა სცენა. მესამე ტურში იუგოსლაველები დამარცხდნენ დიდი ანგარიშით 1:7. საერთო ანგარიში კი გახდა 22,5:8,5 საბჭოთა მოჭადრაკეების სასარგებლოდ.

გუშინ უკანასკნელ მეოთხე ტურში ჩიბურდანიძემ მოუგო კალხბრენერს. ყაიმზე შეთანხმდნენ პეტროსიან-გლიგორიჩი, ივკოვ-ჯინჯიხაშვილი, რაზუვაევ-მატულოვიჩი, პარმა-ტაიმანოვი, ივანოვიჩ-ვაპანიანი, კონარკოვსკა-შული, მარიანოვიჩ-პანჩენკო, მიხალჩიშინ-მილოვანოვიჩი.

დანარჩენი პარტიები გადაიდო. გაფრინდაშვილ-ქოვაჩევიჩის პარტია არ გათამაშებულა იუგოსლაველი ოსტატის ავადმყოფობის გამო.

დღეს დამთავრდება გადადებული პარტიები. საღამოს გაიმართება მეგობრული მატჩის საზეიმო დახურვა.

ვ. გამრეკელი.

## ამინდი

დღეს, 4 დეკემბერს, თბილისში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, იქროლებს სუსტი ქარი, ტემპერატურა 9-11 გრადუსი სითბო.

# სახელმწიფოებრივი საქმე

### სახანძრო უშიშროების ერთთვიური

პირველ დეკემბერს საქართველოში დაიწყო სახანძრო უშიშროების ღონისძიებათა გაძლიერების ერთთვიური. იგი ითვალისწინებს სახალხო მეურნეობის ობიექტების ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობის შემდგომ გაუმჯობესებას, ხანძრების აღკვეთის საქმეში საზოგადოებრიობის ჩაბმას და მოსახლეობას შორის ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობას.

ახლა, როცა განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გამაფრთხილებელ-პროფილაქტიკურ მუშაობას, ხანძარსაწინააღმდეგო პროფილაქტიკა სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ორგანოების საქმიანობის ძირითად მიმართულებას შეადგენს.

ხანძრების წინამორბედ გარემოებათა და მათი წარმოქმნის მიზეზთა ანალიზი თვალსაჩინოდ მოწმობს, რომ ხანძრების აბსოლუტური უმრავლესობა შეიძლებოდა თავიდან აგვეცილებინა, მაგრამ, სამწუხაროდ, დაუდევრობის, ზოგჯერ კი სახანძრო უშიშროების უზრუნველყოფის საკითხისადმი დანაშაულებრივად გულგრილი დამოკიდებულების შედეგად მთელ რიგ შემთხვევებში იქმნება ხანძრების წარმომშობი მიზეზები, რომლებიც სახელმწიფოს დიდ მატერიალურ ზარალს აყენებენ.

ამ ბოლო ხანს შესადუღ სამუშაოებთან და ელექტრომოწყობილობის უწესივრობასთან დაკავშირებით სახანძრო უშიშროების წესების უხეში დარღვევის გამო დიდი ხანძრები მოხდა მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ხაშურის საფეიქრო-საგალანტერეო ფაბრიკაში, „საქყოფქიმის" ფირმის თბილისის საყოფაცხოვრებო ქიმიის ქარხანაში, ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს ქუთაისის ავეჯის ფაბრიკაში, ცეკავშირის ცაგერის რაიკოოპკავშირის ობიექტებზე, რამაც სახელმწიფოს მიაყენა ასეულათასობით მანეთის ზარალი.

შეიძლებოდა თუ არა თავიდან აგვეცილებინა ხანძრები? რა თქმა უნდა, შეიძლებოდა!

შესადუღი სამუშაოების, გადიდებული სახანძრო საშიშროების სამუშაოთა შესრულების დროს ხომ სახანძრო უშიშროების წესების დაცვა მუდამ სავალდებულოა, ისევე როგორც ელექტროსადენების მუდმივი გამართულობა არის მისი ექსპლოატაციის აუცილებელი პირობა.

ახლანდელ პირობებში განსაკუთრებით დიდია სახალხო მეურნეობის ობიექტების ენერგოაღჭურვილობა. საცხოვრებელ სექტორში მნიშვნელოვნად გაიზარდა საყოფაცხოვრებო ელექტროხელსაწყოების გამოყენება. ამასთან დაკავშირებით ელექტროსადენების ექსპლოატაციის დროს სიფრთხილის ზომების დაცვას უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება. ელექტროდანადგარების დადგმის წესების უგულებელყოფა ხანძარს იწვევს. ამას წინათ, მაგალითად, იმის გამო, რომ სწორად არ იყო დამონტაჟებული ელექტროსადენი, ხანძარი მოხდა საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ზესტაფონის საინფორმაციო-გამოთვლით სადგურში, რომელიც მწყობრიდან გამოვიდა.

ჯერ კიდევ ბევრი ხანძარი ხდება აკრძალულ ადგილებში თამბაქოს მოწევის, ცეცხლთან ადვილაალებად და საწვავ სითხეებთან გაუფრთხილებელი მოპყრობის, საწარმოო შენობებისა და საწარმოთა ტერიტორიების დანაგვიანების, კოცონების ანთების, ღია ცეცხლის გამოყენებისა და სხვა ხანძარსაწინააღმდეგო რეჟიმის ელემენტარული მოთხოვნების დარღვევის შედეგად.

ერთთვიურის მოწყობის პერიოდში სამინისტროებმა და უწყებებმა, საწარმოებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელებმა მაქსიმალურად უნდა უზრუნველყონ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ორგანოთა მიერ შეთავაზებული ღონისძიებების შესრულება. უწინარეს ყოვლისა, ბევრი რამ უნდა გააკეთოს ამ მიმართულებით მსუბუქი, ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის, ადგილობრივი მრეწველობის, ვაჭრობის, განათლების, საბჭოთა მეურნეობების და სოფლის მეურნეობის სამინისტროების, „ცეკავშირის" სისტემის ობიექტებზე.

ერთთვიურის მოწყობა ემთხვევა ზამთრის — ხანძრის თვალსაზრისით ყველაზე საშიშ პერიოდის დაწყებას. მკაცრად უნდა მოვკითხოთ იმ სამეურნეო მუშაკებს, რომლებიც იყენებენ გათბობის გაუმართავ ხელსაწყოებს და არღვევენ სახანძრო უშიშროების წესებს მათი დადგმისა და ექსპლოატაციის დროს. ჩვენ გვაქვს ფაქტები, როცა ზამთრის პერიოდში სწორედ ღუმელებით სარგებლობის დროს სახანძრო უშიშროების წესების დარღვევის გამო ხანძარმა გადაბუგა სკოლების, საბავშვო დაწესებულებების, მეცხოველეობის ფერმების შენობები და სხვ.

გამაფრთხილებელ-პროფილაქტიკურ სამუშაოთა გაშლაში სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ორგანოებთან ერთად დიდი მუშაობა უნდა გასწიონ ნებაყოფლობითმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, რომლებიც აერთიანებენ აქტივისტებს და შეუძლიათ დაგვეხმარონ ხანძრების აღკვეთის ღონისძიებათა განხორციელებაში.

სახანძრო უსაფრთხოების ამოცანათა წარმატებულ გადაწყვეტას ხელს უწყობენ კომისიები დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანაში (თავმჯდომარე გ. პივოვაროვი), ავეჯის კომბინატ „განთიადში" (თავმჯდომარე შ. კაოშვილი). სოხუმის ხელსაწყოების ქარხანაში (თავმჯდომარე დ. ვოგია), ბათუმის გადასაცლელ ნავთობბაზაში (თავმჯდომარე დ. სობოლევი), ცხინვალის ელექტროვიბრაციული მანქანების ქარხანაში (თავმჯდომარე ა. შავლოხოვი). ქუთაისის ავტოქარხანაში (თავმჯდომარე ი. რომანოვი) და ბევრი სხვა ობიექტის კომისიები. ერთთვიურის პერიოდში სახანძრო-ტექნიკურმა კომისიებმა უნდა უხელმძღვანელონ მთელ პროფილაქტიკურ მუშაობას, მოაწყონ ობიექტების ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობის საზოგადოებრივი დათვალიერებები და სახანძრო-ტექნიკური კონფერენციები.

თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის, თბილისის ელმავალსაშენებელი ქარხნის, კინოსტუდია „ქართული ფილმის", სატელეგრაფო აპარატურის ქარხნის, გრეხილი ავეჯის კომბინატის, რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის, თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათსაშენებელი ქარხნის, ბათუმის მანქანათსაშენებელი ქარხნის ხელმძღვანელებს სრული საფუძველი აქვთ იამაყონ მეხანძრე რაზმელებით, რომლებიც გულმოდგინედ ადევნებენ თვალს ობიექტების სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფას. საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა უნდა წაახალისონ აქტივისტი რაზმელები, ჩააბან სახანძრო რაზმეულებში მოწინავე მუშები და მოსამსახურეები.

ჩვენს რესპუბლიკაში არის ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების 700 ათასზე მეტი წევრი. არ არის საწარმო და დაწესებულება, სადაც მუშაობას არ ეწეოდეს საზოგადოების პირველადი ორგანიზაცია. ეჭვი არ არის, რომ ყველა ეს ენთუზიასტი აქტიურ მონაწილეობას მიიღებს ერთთვიურში.

სახანძრო დაცვის ორგანოები უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებენ იმას, რომ თვითეული ობიექტი დაცული იყოს ხანძარსაწინააღმდეგო ავტომატიკით, რადგან მისი ეფექტიანობა, როგორც ოპერატიული, ისე ეკონომიური თვალსაზრისითაც, მეტად მაღალია. ახლა რესპუბლიკაში არის 9 ათასზე მეტი ობიექტი, რომლებიც აღჭურვილია ამ დანადგარებით და ერთთვიურის ერთ-ერთი პირობაა კიდევ უფრო გაზარდოს მათი რიცხვი სამრეწველო საწარმოთა, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა, სავაჭრო-სასაწყობო ორგანიზაციათა ხანძრის თვალსაზრისით ყველაზე საშიშ უბნებზე.

შეიძლება მოვიყვანოთ ათობით მაგალითი, როცა ხანძარსაწინააღმდეგო ავტომატიკის მეოხებით თავიდან იქნა აცილებული ხანძარი. თბილისის ავეჯის კომბინატ „განთიადში" სპრინკლერული სისტემის მეოხებით დროულად ჩააქრეს ხანძრის კერა საშრობ-გამოსაჭრელ საამქროში, გზა გადაუღობეს ცეცხლს „ბავშვთა სამყაროს" უნივერმაღში, რუსთავის უნივერმაღში, ქალაქ ზესტაფონის „საქვაჭრობის" № 15 მაღაზიაში, რის შედეგადაც გადარჩა ასი ათასობით მანეთის მატერიალური ფასეულობანი.

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ ამ სიახლეებს ყოველთვის როდი ეკიდებიან სათანადო ყურადღებით ცალკეულ სამინისტროებსა და უწყებებში.

სახანძრო უსაფრთხოების ღონისძიებათა გაძლიერების ერთთვიური ხელს შეუწყობს სახელმწიფო მნიშვნელობის საქმის — ხანძრების თავიდან აცილების — წარმატებით გადაჭრას.

გ. სოლოღაშვილი,
საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე (საქინფორმი).

## ფეხბურთი

### ნაკრები ამარცხებს „ამერიკას"

[illegible], 3 დეკემბერი. [illegible] კავშირის კლუბების ნაკრებმა ანგარიშით 1:0 დაამარცხა კოლუმბიის ქალაქ კალიში „ამერიკის" გუნდი. ერთადერთი ბურთი თამაშის 48-ე წუთზე გაიტანა ოწიმჩენკომ.

☐

### მიეძღვნა კონსტიტუციის დღეს

## სტარტზეა 500 მძლეოსანი

კვირას თბილისის ქუჩებში გაიმართა დიდი მძლეოსნური ამანათრბენი „ქალაქის რკალი", რომელიც კონსტიტუციის დღეს მიეძღვნა. ეს იყო სპორტის ლამაზი დღესასწაული — ქალაქის ქუჩებსა და მაგისტრალებზე ერთმანეთს ეჯიბრებოდა 500-მდე მძლეოსანი.

კარგად იასპარეზეს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის წარმომადგენლებმა, რომელთა შორის ტონის მიმცემნი იყვნენ უძლიერესი მძლეოსნები ს. არტემიევი, ვ. კოზელსკი, ვ. მუსელიანი და შ. ჯაბიშვილი. გუნდმა საუკეთესოდ განვლო შეჯიბრების 19-ვე ეტაპი და პირველმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი გმირთა მოედანზე. გამარჯვებულთა დროა 20 წუთი და 34 წამი. თითქმის ნახევარი წუთის შემდეგ დაამთავრეს დისტანცია ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტებმა.

მეორე ჯგუფში უძლიერესნი იყვნენ თბილისის მწვრთნელთა სკოლის წარმომადგენლები — 22 წუთი და 4,8 წამი. მხოლოდ 4,1 წამით უარესი დრო ჰქონდა პოლიტექნიკური ტექნიკუმის გუნდს.

მოსწავლეებში თავი ისახელეს ორჯონიკიძის რაიონის წარმომადგენლებმა — 22 წუთი და 16,2 წამი, ხოლო საწარმოთა შორის საუკეთესო იყო სპორტკლუბ „ელმავლის" კოლექტივი — 22 წუთი და 55,8 წამი.

სურათზე: ამანათრბენის მე-11 ეტაპი. ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი ა. შევჩენკო ამანათს გადასცემს თანაგუნდელ შ. ჯაბაშვილს.

ო. ბელაშვილის ფოტო.



## რეგბი

### „დინამო" — საქართველოს ჩემპიონი

კვირას თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე დამთავრდა საქართველოს რეგბისტთა ჩემპიონატი. გუშინწინ მინდორზე გამოვიდნენ ჩემპიონობის მთავარი პრეტენდენტები — თბილისის „ლოკომოტივი" და „დინამო". ეს იყო ამ კოლექტივების განმეორებითი ფინალური მატჩი. პირველმა შეხვედრამ უძლიერესი ვერ გამოავლინა — 3:3.

შესვენებამდე რაიმე უპირატესობა ვერცერთმა მეტოქემ ვერ მოიპოვა. მეორე ტაიმის მე-8 წუთზე დინამოელმა ნ. ბუგიანიშვილმა კარგად ისარგებლა რკინიგზელთა დაცვის შეცდომით და გახსნა ანგარიში. ორიოდე წუთის შემდეგ ბ. გვალიამ თავისი გუნდი კიდევ უფრო დააწინაურა. დარჩენილ დროში მ. ქელენტმა ერთი გოლი გაქვითა, მაგრამ მ. თუშიშვილმა და ი. კიზირიამ ანგარიში კიდევ უფრო გაზარდეს. ანგარიშით 14:4 — გაიმარჯვა „დინამომ" და საქართველოს ჩემპიონი გახდა.

ვ. კიკაბიძე.

## ხელბურთი

### „ზარია ვოსტოკას" პრიზზე

კვირას თბილისის სპორტის სასახლეში სტარტი აიღო საერთაშორისო ტურნირმა ხელბურთში გაზეთ „ზარია ვოსტოკას" პრიზზე.

ეს შეჯიბრება ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევს, რადგანაც მასში მონაწილეობენ უძლიერესი გუნდები. ახლანდელ, რიგით მერვე ტურნირში გამოდიან მიუნხენის ოლიმპიადის ჩემპიონი — იუგოსლავიის ნაკრები, მსოფლიოს ჩემპიონი — რუმინეთის გუნდი, მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილენი — გფრ-ის ხელბურთელები და საბჭოთა სამი გუნდი — სსრ კავშირის პირველი და ახალგაზრდული ნაკრები გუნდები და საქართველოს ნაკრები, რომელიც მთლიანად დაკომპლექტებულია თბილისის „ბურევესტნიკის" მოთამაშეებით.

შეჯიბრების პირველ დღეს ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირის პირველი და ახალგაზრდული გუნდები. უფროსებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 26:19 (13:9).

სენსაციური იყო რუმინეთის ძლიერი გუნდის დამარცხება გფრ-ის სპორტსმენებთან — 16:20 (9:9).

მასპინძლებმა — საქართველოს ნაკრების ხელბურთელებმა ფრედ — 14:14 დაამთავრეს პირველი ტაიმი იუგოსლაველებთან, მაგრამ ოლიმპიურმა ჩემპიონებმა მაინც მიაღწიეს წარმატებას — 28:20.

გუშინ სპორტის სასახლეში გაიმართა კიდევ სამი შეხვედრა. გფრ-ისა და სსრ კავშირის ახალგაზრდული გუნდების ასპარეზობა დამთავრდა სტუმრების სასარგებლოდ ანგარიშით 27:13 (12:7), რუმინეთის ნაკრებმა მოუგო საქართველოს გუნდს — 18:15 (8:9), ხოლო სსრ კავშირის პირველმა ნაკრებმა დაამარცხა იუგოსლაველი ხელბურთელები ანგარიშით 22:16 (13:8).

## კრივი

### მეგობრობის მატჩი

კვირას საქართველოს დედაქალაქის მოკრივეთა ნაკრები მასპინძლობდა ლენინგრადელ სპორტსმენებს. საინტერესო ორთაბრძოლების მოწმენი გახდნენ თბილისელი სპორტის მოყვარულები.

განსაკუთრებით დაძაბული გამოდგა მძიმეწონოსანთა შეხვედრა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტს — 19 წლის თემურ კიკვაძესა და საკავშირო შეჯიბრებათა არაერთგზის პრიზიორს, 26 წლის არმიელ ვიქტორ ეგოროვს შორის. ახალგაზრდა სპორტსმენმა შეძლო საკუთარი ტაქტიკა მოეხვია თავს გამოცდილი მეტოქისათვის და დამსახურებულ გამარჯვებას მიაღწია.

საინტერესო იყო ორი სპორტის ოსტატის — ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტის დავით კვაჭაძისა და ლენინგრადის პირველობათა მრავალგზის პრიზიორის, ინჟინერ ვლადიმერ ეფიმოვის (წონითი კატეგორია 81 კილოგრამი) ორთაბრძოლა. თბილისელმა მოკრივემ პირველსავე რაუნდში ჩაატარა მწვავე კონტრშეტევა და გამარჯვების ქულები მოიპოვა.

თბილისელებმა გაიმარჯვეს კიდევ ოთხ წონით კატეგორიაში: თ. ლორთქიფანიძემ მოუგო ვ. ბიჩკოვს, ო. ტიტვინიძემ — მ. სტეპინს, ა. ჯავახიშვილმა — ვ. კოზნირიოვს. ა. ვალიევს მოგება ჩაეთვალა მეტოქის გამოუცხადებლობის გამო. სტუმართაგან წარმატებას მიაღწიეს: ა. ანდრიევმა — ს. პეტროსიანთან, დ. ანისომა — გ. ამოევთან, მ. ტერენტიევმა — დ. ჟორჟოლიანთან, ა. კუზნეცოვმა — კ. შავგულიძესთან, ვ. რედკინმა — მ. დობორჯგინიძესთან.

ორი ქალაქის მოკრივეთა მატჩი, რომელიც მიეძღვნა საქართველოში კრივის 50 წლისთავს, დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით ანგარიშით 6:5. კარგი იქნება, თუ მოკრივეთა საქალაქთაშორისო შეხვედრები კვლავ ტრადიციული გახდება, როგორც ეს ადრე იყო.

## ფარიკაობა

### ა. კიკნაძის ოქროს მედალი

ვორონეჟში, სადაც მიმდინარეობს სსრ კავშირის პირველობა ფარიკაობაში იუნიორთა შორის, ბრწყინვალე წარმატებას მიაღწია საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის მესამე კურსის სტუდენტმა ავთანდილ კიკნაძემ. ქართველმა მოფარიკავემ დაშნით ბრძოლაში ოქროს მედალი მოიპოვა. ახალგაზრდა სპორტსმენი შეყვანილია საკავშირო ნაკრებში.

## ტელევიზია

### 4 დეკემბერი

#### პირველი პროგრამით

11.00 — სკოლების დასახმარებლად — მათემატიკა (IV კლასელთათვის), 11.25 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 16.30 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექციები ქართულ ენაში, 17.15 — ბიოლოგიაში, 18.00 — განცხადებები, 18.10 — ფილოსოფიის შემსწავლელთა დასახმარებლად — „საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაცია", 18.35 — „სტუმრად ნორჩ ნატურალისტებთან", 18.55 — „საბჭოთა ქვეყნის ვარ მოქალაქე", 19.25 — „სპორტული კვირეული", 19.45 — „სახალხო კონტროლის ეკრანი", 20.10 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 20.40 — სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება" (მეოთხე სერია), 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — ვ. მოცარტის საფორტეპიანო შემოქმედება, 23.15 — ახალი ამბები.

#### მეორე პროგრამით

18.05 — სკოლების დასახმარებლად — რუსული ენა, 18.35 — ინგლისური ენა, 19.05 — განცხადებები, 19.10 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექციები თეორიულ მექანიკაში, 20.10 — მასალათა გამძლეობაში, 21.10 — საქართველოს ფერადი ტელევიზიის კინოდარბაზში. მხატვრული ფილმი „დაგვიანებული ყვავილები".

## რადიო

### 5 დეკემბერი

#### პირველი პროგრამით

09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ქართველ კომპოზიტორთა საორკესტრო პიესები, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — უკანასკნელი ცნობები, 11.45 — საბჭოთა პოეტები — სამშობლოს, 12.00 — ტ. ბაქრაძე. კანტატა „მიყვარს მამული", 12.10 — ახალგაზრდობისათვის. „პირადად ვაგებ პასუხს". მუშის პუბლიცისტური გამოსვლა, 13.15 — ამინდის ბიუროს ცნობა, 13.30 — გაზეთ „პრავდის" მოწინავე სტატია, 13.40 — ქართული ხალხური სიმღერები, 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — მ. ქასრაშვილისა და ლ. ისაკაძის კონცერტი, 17.40 — ყველაზე პატარებისათვის. „ლაპარაკობს რადიოსადგური „ციცინათელა", 18.00 — უკანასკნელი ცნობები, 18.10 — მდივნის „ორერა", 18.45 — ს. პროკოფიევი. პირველი სიმფონია, 19.00 — „ყველაზე ჰუმანური, ყველაზე დემოკრატიული". 19.20 — ვ. მოცარტი. სონატა დო მაჟორი. ასრულებს ე. ვირსალაძე, 19.30 — უკანასკნელი ცნობები, 19.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 20.30 — რადიოჟურნალი „თბილისი-ბაქო-ერევანი", 21.00 — „ძილისპირული", 21.10 — ხელოვნების ოსტატთა კონცერტი, 21.40 — ს. ანტონოვი. „სახელმწიფო გერბი". რადიოდადგმა, 22.00 — „მელოდია, რიტმი, განწყობილება". კონცერტი, 22.30 — უკანასკნელი ცნობები, 23.30 — — მოძმე რესპუბლიკების კომპოზიტორთა სიმღერები, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ნუ ვწევთ, ნუ მოვიწამლავთ!

## თეატრები

### 4 დეკემბერი

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ბუშინდელნი; კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — პარაკუნე ჭიმჭიმელი; ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — შაითან ხიხო.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

კომუნისტი

380008 თბილისი-8. ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების—99-93-03, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93 მრეწველობის — 93-20-74 სოფლის მეურნეობის — 99-62-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90 ფიზკულტურის — 99-60-21 წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93 28 54

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 60443 უე 02828 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096 თბილისი-8, ლენინის ქ. 14.